წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 26 გიორგობისთვე 1915 წ. № 152

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**საქართველოს კანტორისაგან**

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

**კვირას, 29 ნოემბერს, დილის 11 საათზე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია**

**ქართულ სამეურნეო საზოგადოების წევრთა**

**წლიური კრება**

1. ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა და გაწეულ ხარჯებისა 1913—1914 წ.წ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
4. ახალ წევრთა მიღება.
5. არჩევნები საბჭოს წევრებისა და სარევიზიო კომისიისა.

3—11—2

**ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის**

ქარხნები

**მ. ე. ლალიძე და ამხ.**

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან** ყოველთვის მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლალიძის და ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლალიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ** ყველგან ნამდვილი **ლალიძის წყალი**, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

**ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო**

**„პეტროგრად“-ში**

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

**ევროპიული და აზიური საჭმელები**

**ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში:** 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.

შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით **ს. კახეთელიძე** და **გ. არჩვაძე.**

25—18

**გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას**

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

**ი. თ. გვათუას კანტორა**

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

**კბილის ექიმმა**

**მამულაიშვილმა**

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მისე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა,** შინაგან და ქირურგიულ **სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს **დოსტაქარი** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**კბილის ექიმი**

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

„წითრის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

**სასტუმრო „ჯუგაანი“**

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით

15—9 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

**თბილისის უმაღლეს ქალთა კურსების მსმენელი ქალი**

**ეძებს გაკვეთილს,**

ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. **მისამართი** იკითხეთ „საქართველოს“ რედაქციაში.

(15—11—1)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი,** 24 გიორგობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. დაბა კრევოს რაიონში, მდ. ვილიის სამხრეთით, თოფის ტყვიით რუსებმა გერმანელთა ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. მფრინავები ტყვედ წამოიყვანეს. სოფ. იანოვკის რაიონში დაბა ბუჩაჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გერმანელებმა ძლიერი სროლა ასტეხეს და ბოლოს ისევ შეეცადნენ იერიშით წამოსვლას, მაგრამ რუსებმა უკუაგდეს სოფ. პელევამდე. ასევე უშედეგოდ სცდილობდა მტერი სოფ. იალოვეცის რაიონში რუსის ჯარებისთვის იერიშით შეტევნა. სვენტენის ტბის დასავლეთით, აგრეთვე მდ. ვილიის სამხრეთით, სოფ. ცერბეროვის რაიონში, ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით რუსის მზვერავებმა მარჯვედ გაითარეშეს. სხვაფრივ მთელს ფრონტის გასწვრივ აღსანიშნავი არა არის რა.

**კავკასიის ფრონტი.** შავი ზღვის ფრონტზე ვანის ტბის სამხრეთ ნაპირამდე, რუსთა მზვერავნი მარჯვედ მოქმედებენ. ხორასნის სამხრეთ რაიონში, მდ. არაქსე, ნამქერი მძვინვარებს. ზოგიერთ ადგილას 8 ადლის სიმაღლეზე თოვლი დასდო.

24 გიორგობისთვე.

**ბუქარესტი,** 22 გიორგობისთვე. „დნევნიკი“ იუწყება, სტამბოლში ათასობით მოდიან გერმანელი და ავსტრიელი მუშები. მათ ჰგზავნიან აზიის შუა ნაწილში, სადაც სამუშაო განმზადებულია მათთვის.

**ლონდონი.** 24 გიორგობისთვე. ფელდ-მარშალ ფრენჩის მოხსნება. ჰაერში ბრძოლა ჩვენს საკეთილოდ დამთავრდა. 21 და 22 გიორგობისთვეს ჩვენი არტილერიის ცეცხლით პარაპატები გაუფუჭეთ მტრის თხრილებს, რამდენიმე ადგილას კიდევ მავთულების ხლართი გავარღვიეთ. ნაღმით ბრძოლა გრძელდება. ფრილინგიონესთან. ჩვენ ავაფეთქეთ მტრის სანგრების გალერეია. იმათაც აფეთქებით გვიპასუხეს, რამაც ჩვენი თხრილები 25 წყრთა დაანგრია.

**ბალკანეთში.**

**ლონდონი,** გუშინ ბულგარელებმა ძლიერი სროლა აუტეხეს ინგლისელთა ჯარის მარცხენა ფრთას. ცრნის მარცხენა ნაპირას ფრანგებმა ბულგარელების იერიში მოიგერიეს. ბულგარელები შეეცადნენ კოსტრურინოზე ღამე იერიში მიეტანათ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

სერბიელები განაგრძობენ უკან დახევას, თუმცა ბულგარელები მათ აღარ სდევნიან.

სოლუნში დიდძალი გამოქცეული სერბიელი მოდის.

**ათინა.** თითქმის მთელი სერბეთის ჯარი ალბანეთში გადავიდა. ვასიჩის ჯარი, მონასტირის მიტოვების შემდეგ, რესნში მივიდა. ბულგარელები და ოსმალოები თრაქიის სანაპიროებზე იყრიან თავს, სადაც მოკავშირეთა ჯარის გადასვლას მოელიან. გერმანელები ბერლინ-სტამბოლს შუა რკინის გზისა და ტელეგრაფის მოწესრიგებაზე მუშაობენ.

**რომი.** ათინის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მონასტირის დაჭერის შემდეგ, გერმანელთა ჯარი სამხრეთ ალბანეთს დაიჭერს. „ტრიბუნა“ სწერს: ბულგარელები უკვე 4 დღეა მონასტირთან სდგანან მაგრამ ქალაქში კი არ შედიან. გაზეთის აზრით მონასტირი საბერძნეთს დაეთმობა, ნეიტრალისათვის.

**საფრანგეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** დღის ცნობა. მთელ საომარ ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

**მთაშავეთი.**

**ცეტინიე.** 21 გიორგობისთვეს მოპირდაპირემ მედგრად შეუტია მთაშაველთა მდ. ჩეხოტინის მარცხენა ნაპირას, მაგრამ მოიგერიეს. მტერი მოიგერიეს აგრეთვე მროდარევისა, სენიტტისა და მელოპოლიას მიმართულებით. მტერი დიდათ დაზარალდა.

**ამერიკა.**

**ვაშინგტონი.** ბერნსტორფმა გარეშე საქმეთა სამინისტროს გადასცა გერმანეთის მთავრობის უწყება, რომლითაც გერმანეთის მთავრობა სთხოვს შეერთებულ შტატებს, გვაცნობეთ რა მიზეზით მოითხოვთ ბოიედისა და ფონ-პაპენის უკან გაწვევასაო.

**კოპენჰაგენი.** ვენის გაზეთების სიტყვით, ჩერნოვიცაში ძლიერი ხმა ისმის ზარბაზნის სროლისა. რუსის მფრინავები ქალაქს ყუმბარებს ესვრიან.

**პეტროგრადი.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ცარსკოე სელოში იყო, სადაც მეფემ სადარბაზოდ მიიღო. დარბაზობამ 50 წუთს გასტანა.

**პარიზი.** საღამოს ოფიციალი ცნობა. მთელი დღე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა არტუაში, ლოოსსუშეს მიდამოებში და სომა-უაზის შუა. ჩვენი არტილერია მუყაითად უშენდა გერმანეთის ჯარს ფოსთან, განსაკუთრებით კი ლოკურის ახლო. აგრეთვე საკმაოდ ძლიერი საარტილერიო სროლა სწარმოებდა შამპანში და არგონში.

**ჰავრი.** 23 გიორგობისთვე. ბელგეთის ოფიცალი ცნობა. ჩვენ ფრონტზე ქვეითა ჯარების შეტაკება არ მომხდარა. გერმანეთის არტილერია სალამოხანს ენერგიულად ახმაურდა.

**დარდანელი**

21 გიორგობისთვეს მთელი დღე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენი არტილერია დაჟინებით უშენდა ოსმალების მუშებს მდ. კევერესდერეს შესართავთან. ჩვენმა მფრენავებმა აუარებელი ყუმბარები ჩაყარეს მოწინაალმდეგე ჯარის ბანაკში.

**რევოლიუცია ჩინეთში.**

შანჰაიდან იუწყებიან, რომ მეამბოხე გემი უკვე შეიპყრეს და მრავალი რევოლიუციონერი ჩამოახრჩეს. ქალაქში თითო-ოროლა ტერორისტული აქტები ხდება. ბევრი დაატუსაღეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისი**

**ზავის მომხრენი.**

ინგლისში პასიფისტები (მშვიდობიანობის მომხრენი) ენერგიულად მოქმედებენ, რაიცა მათ მოწინაალმდეგეთა ბანაკში მღელვარებასა და მტრობა შურს იწვევს. პასიფიზმის ქადაგის მხრივ თავი ისახელეს პარლამენტის წევრებმა რამზაიმ, მაკდონალდმა, ჯევეტმა, სნოუდენმა, პონონკიმ დენმანმა და ტრეველგრმა. გაზეთი „Daily graphic-“ი ცეცხლის მახვილით ილაშქრებს ამათ წინააღმდეგ. იგი მოითხოვს ამ დეპუტატების დათხოვნას პარლამენტიდან.

**სამხედრო სავალდებულო ბეგრის მოწინააღმდეგენი**

გლაზგოში, ქალაქის ერთ-ერთ დიდ მოედანზე მიტინგი გამართეს სავალდებულო სამხედრო ბეგრის მოწინააღმდეგეებმა. მიტინგს დიდძალი ხალხი დაესწრო. სამხედრო ბეგრის სავალდებულო ხასიათის წინააღმდეგ ინგლისის საზოგადოების დიდი ნაწილი ილაშქრებს.

**ზავის პირობები.**

რამდენიმე დემოკრატიული ორგანიზაცია შეეცადა საერთო ყრილობა მოეწვიათ ზავის პირობების შესამუშავებლად. გამართეს დიდი მიტინგიც, მაგრამ ამ მიტინგზე წინასწარ ბლომად შესულან ზავის მოწინააღმდეგენი. შეუძლებელი გახდა კრების წესიერი მსვლელობა. ერთი ყვირილი და აურზაური დაატრიალეს. მიტინგიც უშედეგოდ დაიშალა.

**შვედელი ოფიცრები სპარსეთში.**

გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტრის თანაშემწემ რობერტ სესილმა პასუხად ის მიუგო შემკითხველებს, შესახებ იმისა, მიღებული იყო რაიმე ზომა თუ არა შვეციის მთავრობისაგან სპარსეთში მათი ოფიცრების საქციელის გამო, რო შვეციის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა და შესაფერისად ასამართლებდა კიდეც თავის ოფიცრებს, ვიდრე ესენი მისი ხელქვეითები იყვნენ. ხოლო დღესვე შვეციის მთავრობას პასუხისმგებლად ვერ გახდის კაცი სპარსეთის ჟანდარმერიის მეთაურ შვედელ ოფიცრების საქციელისათვის, რადგანაც ეს ოფიცრები შვეციის მთავრობას არ ემორჩილებიანო.

**რუმინეთი.**

**რუმინეთის ლოდინის პოლიტიკა.**

რუმინეთის პრემიერის ძმამ საჯარო სიტყვა წარმოსთქვა, სადაც მოიწონა მთავრობის მლოდე პოლიტიკა, რომელმაც რუმინეთს დღემდე ბევრი შესაძლებელი ხიფათი ააშორა და რომელიც, რაც დღე გადის, რუმინეთს მეტ ფასსა და ნამდვილ ღირებულებას აძლევს ევროპის ომის გადასაჭრელად. ჯერ კიდევ შესაძლებელია ასეთი საღი პოლიტიკის წარმოებაო. მთავრობის პრესამ ეს სიტყვა მოიწონა.

**ოპოზიციას ხელმწიფების ხელში ჩაგდება სურს.**

რუმინეთის მთავრობის ოპოზიციონერების,—ტაკე, იონესკო და ფილიპესკოს ორგანოებს იერიში მიაქვთ პირადათ რუმინეთის პრემიერის, ბრატიანუს წინააღმდეგ. ფილიპესკოსა და იონესკოს ემხრობა დეპუტატი მილეც, რედაქტორი გაზეთ „ადევერულის“. ოღონდ ბრატიანუ ჩამოშორდეს მთავრობას და ოპოზიცია გამოსძებნის მასთან შეთანხმების საშუალებასო.

**სპარსეთი.**

**დაპატიმრებუი ინგლისელები.**

შირაზში დაპატიმრებული ინგლისის კონსული და ინგლისის ბანკისა და ტელეგრაფის დირექტორი და სხვა კერძო პირები გაიგზავნენ გერმანეთის მომხრე ტომის ტანღისტანის ბანაკში დაპატიმრებულით ოჯახები ბენდერ-ბუშირს ჩამოვიდნენ.

**კავკასია.**

**ბრძოლის პირზე.**

ალაშქერთის ველის სამხრეთში ოსმალებმა დიდი ძალით გამოილაშქრეს რუსების წინააღმდეგ 15 გიორგობისთვეს. გამოლაშქრებას ჰქონდა ერთობილი და ენერგიული ხასიათი. ოსმალები მოიმართებოდენ მუსო-ბაქარის მიმართულებით. ოსმალები მხნედ ეძგერნენ რუსებს რომ გაერღვიათ მათი დგომის ხაზი. მკაცრი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რუსებმა შეაყენეს მოპირდაპირენი.

**ზღვის პირა რაიონში**

ამავე 15 გიორგობისთვეს ზღვის პირა რაიონში ოსმალებმა ერთნაირი იერიში მიიტანეს რუსებზე და რამდენიმეთ წინ წამოიწიეს. რუსების მოწინავე რაზმებმა ენერგიულად უპასუხეს თავდამსხმელებს და წინ წამოწევის საშუალება მოუსპეს.

**ბრძოლა ვანის ტბასთან.**

ვანის ტბის სამხრეთით სოფელ იმგერთან 16 გიორგობისთვეს საკმაოდ სერიოზული ბრძოლა მოხდა რუსებსა და ოსმალებს შორის. ოსმალთა რაზმს მეტად მარჯვე და გამაგრებული პოზიცია ეჭირა სოფელ ვოსტონსა და სარენოს-შორის და ხელს უშლიდა რუსეთის გალაშქრებას სამხრეთ-დასავლეთისკენ. სათანადო მომზადების შემდეგ მოპირდაპირენი ერთმანეთს შეებნენ 16 გიორგობისთვეს დილიდანვე. თუმცა ოსმალები იშვიათის მამაცობით იბრძოდენ მაგრამ მაინც იძულებული გახდნენ ბრძოლის ველი დაეთმოთ და თავის პოზიციები დაეტოვებინათ.

**პოლონეთი.**

ვარშავის ახლად გახსნილ უნივერსიტეტის რექტორმა ბრუძინსკიმ გამოსცა შემდეგი ბრძანება:

„ვარშავის უნივერსიტეტი თავის კარებს გაუღებს ახალგაზდობას, რომელსაც სწავლა და მეცნიერება სწყურია. ოფიციალი ენა პოლონური ენაა. ვარშავის უნივერსიტეტი მიაწვდის თავის მსმენელებს მეცნიერულ ცოდნას და შეაჩვევს ახალგაზდობას აწარმოოს დამოუკიდებელი სამეცნიერო შრომა. პროფესორებს ევალება არა მარტო ის რომ ღირსეულად ასწავლონ თავიანთი სპეციალობა, არამედ ისიც რომ გამოსჭედონ და გამოწრთონ ახალგაზრდობის ზნე და ხასიათიო“. ამავე მოწოდებაში რექტორი სთხოვს შეგირდებს მტკიცედ დაიცვან მთავარი სკოლის ტრადიციები.

ამგვარივე მოწოდება გამოაქვეყნა ვარშავის პოლიტეხნიკუმის რექტორმა სტრაშევიჩმაც. 9 გიორგობისთვეს. სტუდენტებმა დაიწყეს ამ ორს მაღალ პოლონურ სასწავლებელში თავის ჩაწერა.

**დღესასწაული კრაკოვის უნივერსიტეტში.**

იაგელოს უნივერსიტეტმა კრაკოვში იდღესასწაულა პოლონური მაღალ სასწავლებლების გახსნა ვარშავაში. საგანგებოდ გამართულ ზეიმზე კრაკოვის უნივერსიტეტის რექტორმა კოსტონეცკიმ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„აქ შევიკრიბენით არა მარტო იმიტომ რომ გამოგვეცხადებინა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა და ახალგაზდობისა სამეცნიერო ერთობა, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესურასთან და მოსწავლე ახალგაზდობასთან, არა, ჩვენ შევიკრიბენით ძმურის ენერგიულის გრძნობის სახელით, რომელიც ჩვენს გულს ასე აკავშირებს და აერთებს ვარშავასთანო.

**საბერძნეთი.**

**პასუხი შეთანხმების სახელმწიფოებს.**

საბერძნეთის პრემიერმა აცნობა შეთანხმების სახელმწიფოების ელჩებს, რომ საბერძნეთი ყურად იღებს შეთანხმების სახელმწიფოთა განცხადებასა და განმარტებას. პრემიერმა აღნიშნა განსაკუთრებული სამხედრო სიძნელე იმ შეთანხმების გეგმისა, რომელიც შეთანხმების დიპლომატიამ საბერძნეთს წარუდგინა და აუწყა ელჩებს რომ ეს გეგმა განსახილველად უნდა გადაეცეს საბერძნეთის სამხედრო უწყებას, რომლის კომპეტენციას უფრო შეეფერება მისი ავისა და კარგის გაგება.

**არჩევნები.**

საარჩევნო კომპანიისათვის საბერძნეთში დიდი მზადებაა. ყოფილი პრემიერი ჰუნარისი მხნედ შეუდგა საარჩევნო აგიტაციას, იგი მაკედონიაში გაემგზავრა. საბერძნეთის დღევანდელი პრემიერი სკულუდისი სალონიკში იდგამს ყუთს. ვენიზელოსმა გადაჭრილი უარი სთქვა არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე.

**გერმანეთის მუქარა.**

საბერძნეთის ყოფილი პრემიერის ჰუნარისის ორგანო ირწმუნება, გერმანეთი და ავსტრია მუქარის ნოტას წარუდგენს საბერძნეთს თუ ეს უკანასკნელი დასთანხმდა შეთანხმების სახელმწიფოთა წინადადებაზეო.

**თათბირი.**

მეფეს განუწყვეტელი თათბირი აქვს პრემიერთან და საბერძნეთის გენერალურ შტაბის ოფიცრებთან. საბერძნეთის მთავრობის სიტყვიერ პასუხში, რომელიც მიმართულია შეთანხმების ელჩებისადმი, მკაფიოდ გაისმის ჰანგი ფარული უნდობლობისა და უგულ-

წრფელ რწმუნებისა. ფაქტიურად მეფე კონსტანტინე და მისი პრემიერი სკულუდისი საქმეს აკეთებან გერმანეთ-ოსმალეთ-ბულგარეთის სასარგებლოდ.

### გერმანეთი.

**სოციალ-დემოკრატები რეიხსტაგში.**

გერმანეთის სოციალ-დემოკრატებს სურთ შეეკითხონ იმპერიის კანცლერს, თუ რა პირობებში ჩამოაგდებდა ზავს თავის მოპირდაპირეებთან გერმანეთის მთავრობა. სოც.-დემოკ. მიიღეს ზომიერი ფორმა საინტერპელიაციოდ. შეკითხვას მხარს დაუჭერს შეიდემანი. კამათის დროს პარტიის სახელით ილაპარაკებს ზომიერი სოციალისტი ლანდსშერნი. სოციალ-დემოკრატების ცენტრალ ორგანოს „Vorwarts“ საჭიროდ მიაჩნია რომ რეიხსტაგის ტრიბუნიდან ემცნოს ყველას, თუ რანაირ პირობებს დაუჭერს მხარს ზავის შესაკრელად გერმანეთის სოც.-დემოკრატია.

## უკანასკნელი ფოსტა

**სპარსეთის ვითარება.**

თეირანში დაბრუნდნენ ის დეპუტატები, რომელნიც ყუმში იყვნენ გაქცეულები. მეტი წილი ესწრაფებიან რათა შეაჩერონ სპარსეთ-რუსეთისა და ინგლისის შეთანხმება. კაბინეთი არა კომპეტენტურად გამოაცხადეს ასეთ ხელშეკრულობის დასადებად. საჭიროა მეჯლისმა განიხილოს ყოველისფერიო.

**რიგის გარშემო.**

„ბ. ვ.“ ხიტყვით, გერმანელებს დვინის მიდამოებიდან რიგის მხარეს გადაჰყავთ ჯარის ნაწილი. ტალსენის მაზრაში გერმანელები სწრაფად ეზიდებიან მძიმე ზარბაზნებს.

**რუსეთის ასპარეზი.**

„რეჩ“-ი სწერს: მაკენზენმა სერბეთის დევნას თავი დაანება და ახლა მთელი ძალ-ღონით მოკავშირეთა ჯარზე გაილაშქრებსო. ამ ჯარის წინააღმდეგ საკმარისია მხოლოდ ბულგარეთ-ოსმალეთის ჯარიც. გერმანელ-ავსტრ. ჯარს კი რუმინეთის ჩრდილო ან სამხრეთ საზღვრებისთვის გამოიყენებენ. უფრო მოსალოდნელია, რომ გერმანელები ბუკოვინაში გააცხოველებენ საომარ მოქმედებას. აქ ამისი ნიშნები უკვე მოსჩანს სტრიპას ქვემო მდინარეობაზე.

**გერმანელების ოინები.**

ვაშინგტონში ვინმე კრეშლეი სცდილობდა ხილის სახით რუსეთში გამოეგზავნი ასაფეთქებელი მასალა.

## ბრძოლის ველზე

გერმანეთი ორ-სამ კვირაზე მეტია რაც არ იბრძვის რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე. სათვალავში ჩასაგდები არაა ის ადგილობრივი და ეპიზოდიური ხასიათის შეტაკებები, რაიცა ჰხდება ამ გრძელ ფრონტის სხვა და სხვა ადგილას. ამ შეტაკებებში მცირე რაზმები იღებენ მონაწილეობას, რომელთა მოქმედების ასეთი თუ ისეთი შედეგი არსებით ცვლილებას ვერ შეიტანს ჯართა დგომის მოხაზულობაში. რადგანაც ინიციატივის პატრონი გერმანეთი ამ ფრონტზე დღეს-დღეობით არ იბრძვის და რადგანაც მეორეს მხრით ამ ფრონტს ჯერ კიდევ არსებითი მნიშვნელობა არ დაჰკარგვია, ევროპის ომის საერთო მიმართულებაზე გავლენის მოსახდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანეთი ხვალინდელი ბრძოლისთვის ემზადება და პატარ-პატარა ბრძოლებს და შეტაკებებს ამოფარებული იგი აწარმოებს ჯარების ახალ დარაზმვას, საკვებისა და სამხედრო სურსათ-მასალის დაგროვებას, ძლიერი მოქმედების დასაწყებად. და ვიდრე ეს ძლიერი უვერტიურა დაიწყებოდეს, ოფიციალი დეპეშები ან არავითარ ცნობებს არ მოგვიტანენ ან და კიდევ ფრიად უმნიშვნელო რამეს. გუშინდელი დეპეშა გუშინწინდელს მიაგავს და გუშინწინდელი კიდევ წინადღისას. გუშინდელი დეპეშები შემდეგ გაფანტულ ფაქტებს გადმოგვცემს: ბუჩაჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით იანოვკას რაიონში გერმანელებს უცდიათ წინ წაწევა, ძლიერ საარტილერიო ცეცხლის საფარველ ქვეშ, მაგრამ რუსებს შეუჩერებიათ. ასეთივე უშედეგო ცდა ყოფილა გერმანელების მხრივ იმავე ბუჩაჩის რაიონში იალოვეცთან.

კავკასიის ბრძოლის პირზე, შავი ზღვის პირიდან ვანის ტბის სამხრეთამდე რუსეთის მზვერავთა რაზმის მოქმედებას ჰქონია ადგილი.

**მეგრი.**

## თბილისი, 26 გიორგობისთვე.

**რუსეთის საგოდებელი**

ვის არა აქვს საგოდებელი? რომელი ქვეყანა არ ატირდა, ვინც კი მახვილს მოჰკიდა ხელი და ბრძოლის ველზე გამოვიდა? ინგლისი, ეს ლაღი და ამაყი ინგლისი, ჰბორგავს, მთავრობას ლამის არის უნდობლობა გამოუცხადოს, რომ ომის ბედი სასურველად არ იჩენს პირსა. არა ნაკლებ ჰგოდებენ საფრანგეთის მამულიშვილნი, დამღუპველ პოლიტიკად მიაჩნიათ ჯართა დაქსაქსვა. ხშირად ცხარე პატრიოტული მოწოდებით მიჰმართავენ, შეჩერებულ იქმნას უცხო ქვეყნების ექსპედიცია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მის ტერიტორიას, მათს საყვარელს აკვანს—საფრანგეთს.

ჰგოდებს რუსეთიც. საგოდებელი მისი მრავალ-ფეროვანია. მაგრამ დამახასიათებელი კაეშნის ხმა, რაიც უნისონად გაისმის რუსულ პრესაში, გახლავთ საზოგადოებრივი მოქმედების შეყინვა. მართალია, იცვლება მიმართულება, იცვლებიან ლოზუნგები, თითქოს ახალ-ახალ სიტყვებს ამბობენ, მაგრამ ის, რასაც განახლებას უძახიან, არა სჩანს. რუსეთის სახელმწიფოებრივ ლაბორატორიაში არა სჩანს შემოქმედებითი ენერგია, არა სჩანს ცოცხალი ძალა, ცოცხალი მოქმედების რეზულტატები. კვლავ ცხოვრება ისევ იმ გზით და იმ კალაპოტით მიდის, როგორც ომამდე იყო.

მთავრობა ხალხისაგან ითხოვს თანაგრძნობას, რა თქმა უნდა, ხალხიც მზადაა დაეხმაროს, სიამოვნებით ეგებება ამ მოწოდებას, მაგრამ სიტყვა და სურვილი ერთია, ხოლო შესრულება მეორე. ერთის შეხედვით იფიქრებს ადამიანი, ვითომც მთავრობა მართლა დაინტერესებულია ხალხით, თანაგრძნობის მოსაპოვებლად არაჩვეულებრივი ტემპით სცვლის საპოლიტიკო უმაღლეს სფეროს პერსონაჟებს, დაპირებათ და აღთქმათ ხომ საზღვარი არა აქვს, მაგრამ საზოგადო ცხოვრებას ამითი არა ეშველა რა, სიძვირე მძვინვარებს, დღითი დღე იზრდება, სურსათის ნაკლულევანება შიმშილობის გრძემლზე სცემს კვერსა. და უბედურობაც სწორედ ის არის, რომ ამ დროს ხალხი კვლავ ხელ-ფეხ შებორკილია, ქალაქებს არა აქვთ უფლება მცხოვრებთა კავშირი მოაწყონ მოზღვავებულ უბედურობასთან საბრძოლველად. კვლავ ფორმალობა, ნებართვათა გამოთხოვნა, სირბილი ერთი უფროსიდან მეორესთან და მთავრობის მოხელეებთან, რომელთაც ადამიანი ვერას გზით ვერ აუვა. არ იზავ ასე, პატარა თვითნებობას გამოიჩენ და საეჭვო თვალით დაგიწყებენ ყურებას. რატომ? ამაზე პასუხს იძლევა შინაგან საქმეთა მინისტრი ხვოსტოვი, ასეთი მოქცევა სახელმწიფო საფუძვლის შერყევას მოასწავებსო! თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ არავითარ რეფორმის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. ამ მარად და დაუცხრომელ ეჭვების გამოა შეხუთული სიცოცხლე, ეს ეჭვები ჰქმნის რუსეთის მცხოვრებთა სულიერს ტრაგედიას, ეს გარემოებავე ათამამებს ვაჭარ სპეკულიანტებს თავხედურად მოიქცნენ და რკინის ხელით გასწურონ ხალხი. ჭეშმარიტად, ასეთი მდგომარეობა საგოდებელის საუკეთესო საგანია რუსეთის მცხოვრებთათვის, მით უმეტეს ეს ითქმის დღეს, როდესაც ცხოვრება ომის გამო ისედაც გართულებულია და ათასი საჭირბოროტო საკითხია წამოყენებული გარდასაწყვეტად...

ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომრიდან დაიბეჭდება ბ-ნ ს. რ. გორგაძის გამოკვლევა: „ქართული ანბანი“. წერილში გარკვეულია როდის არის გამოგონილი ქართული ანბანი და რა და რა ცვალებადობა განუცდია მის ასოთა მოყვანილობას. წერილთან შესაფერისი კლიშეებიც დაიბეჭდება.

## ახალი ამბავი

**მშობელთა წრე.** 24 გიორგობისთვეს კრება ჰქონდა ქალთა მესამე გიმნაზიის მშობელთა წრის საბჭოს. კრებას გიმნაზიის დირექტორიც დაესწრო. საბჭომ ითათბირა მოსწავლეთა შორის გავრცელებულ გადამდებ სენისა და შესაფერის ღონისძიებათა შესახებ. როგორც გამოირკვა, ქუნთრუშით ავად გამხდარა 12 მოსწავლე, 1 მოსწავლე კიდევაც გარდაცვლილა. საბჭომ საჭიროდ სცნო, რომ 2 კვირით მოსწავლენი განთავისუფლდნენ სწავლისაგან და გიმნაზიაში დეზინფექცია გაკეთდეს. მაგრამ ამ წინადადების წინააღმდეგი იყო ბ-ნი დირექტორი, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ მოსწავლენი სხვა და სხვა ადგილას დაიწყებენ სიარულს და ადვილი შესაძლებელია, რომ უფრო გავრცელდეს მოსწავლეთა შორის სენი. საბჭომ ხმის უმეტესობით მაინც დაადგინა, შესრულებულ იქმნას პირველი წინადადება. შემდეგ საბჭომ მსჯელობა იქონია ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ გიმნაზიაში. ასეთი მსჯელობა წინა წლებშიაც ჰქონია მშობელთა წრეს, მაგრამ გიმნაზიის ხელმძღვანელთ ყურადღება არ მოუქცევიათ. ამის გამო ეხლა საბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მეფის ნაცვლის წინაშე, რომ ქართული ენის სწავლება ქართველ მოსწავლეთათვის დამყარდეს და სავალდებულოდ გახდეს გიმნაზიაში. დასასრულ საბჭომ ითათბირა იმ მოვლენაზე, რომ მოსწავლეებს დიდი გაკვეთილი ეძლევათ, რომელთა დასწავლას დიდ დროს ანდომებენ და ერთობ იღლებიან. ამ საგნის გამო საბჭომ გადასწყვიტა, საანკეტო ფურცლების საშუალებით მშობელთა მხრივ გაიგონ, რამდენ საათს ანდომებენ მათი შვილები გაკვეთილების დასწავლას. ასეთი საანკეტო ფურცლები ვაჟთა მესამე გიმნაზიის წრის საბჭოს უკვე დაუგზავნია მშობელთათვის.

**ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.** მისი უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტმა აცნობა საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომ კომიტეტმა 11 გიორგობისთვეს დაადგინა გადასდევას ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განკარგულებაში შემდეგი თანხები: 1) სამბულატორიო პუნქტების მოსაწყობად და შესანახად ს. ხულოში (აჭარა) ერთდროულად 6.000 მანეთი, ხოლო ყოველთვიურად 2.000 მან.; 2) 4 სკოლის გასამართად, შესანახად და სასწავლო ნივთების შესაძენად ერთდროულად 16.000 მან., ხოლო ყოველ თვიურად 8.000 მან.; 3) მუშათა სკოლებში თავშესაფარებელ გადმოხვეწილთათვის 1.000 მან.; 4) გადმოხვეწილთა და ომიანობისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის, რომელნიც სკოლებში სწავლობენ (სწავლის ფული და სხვა საჭიროებანი), მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში, 14.000 მან; სულ ქრისტეშობისთვეში 40.500 მან.

საქველმოქმედო საზოგადოება ვალდებულია კომიტეტს წარუდგინოს დაწვრილებითი ანგარიში დახარჯულ ფულისა.

**ფოსტა-ტელეგრაფის წესწყობილება.** რადგან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში საწყობები გავსებულია თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ: გასაგზავნი ნივთები, თუ მათი რიცხვი არ აღემატება ხუთ-ცალს ერთი მისამართით, ინახება კანტორის საწყობში ოთხი დღე უფასოთ. ნივთების მიღებისათანავე უწყება გაიგზავნება დაინიშნულებისამებრ. თუ ნივთები ოთხ დღეზე მეტი დარჩა კანტორის საწყობში პატრონს შესანახი ქირა გადახდება თითო ცალზე შაური დღე-ღამეში.

**ქალაქის თვითმართველობა და ტრამვაი.** შაბათს, 28 ამა თვეს, ოლქის სასამართლოში დანიშნულია გასარჩევად თბილისის თვითმართველობის საჩივარი ტრამვაის უსახელო საზოგადოებისადმი. ქალაქის ინტერესების სასამართლოში დასაცავად უკვე ჩამოვიდა მოსკოვიდან თბილისს ცნობილი იურისტი ბ-ნი ტესლენკო.

**გადმოხვეწილთა დახმარება.** ქალაქის მოურავმა ალ. ივ. ხატისოვმა მიიღო ინგლისის პარლამენტის დეპუტატის სერ ვილიამსისაგან 72,000 მანეთი გამოქცეულ სომხების სასარგებლოდ. ვილიამსი კიდევ ჰპირდება ხატისოვს 45,000 მანეთს იმავე საქმისათვის. ბ-ნმა ხატისოვმა 72,000 მან. სომეხთა კათალიკოზს გაუგზავნა.

**სამხედრო პატრონების აღმოჩენა.** 21 გიორგობისთვეს, თბილისის რკინის გზის სადგურში, როცა ყარსიდან სახალხო მატარებელი მოვიდა, ჟანდარმმა ლაბინცევმა ყურადღება მიაქცია ორ მგზავრს, რომელნიც ვაგონიდან გამოდიოდნენ. ერთს იმათგანს ხელში ეჭირა ორი პატარა ჩემოდანი, ხოლო მეორეს პატარა კალათი. ლაბინცევმა 5—6 საჟენზე გააცილა ეს მგზავრები და შემდეგ მეორე ჟანდარმს დაავალა თვალ-ყური ედევნებინა მათთვის; თითონ-კი ისევ ვაგონისკენ დაბრუნდა, რადგანაც თვალი მოჰკრა მესამე კაცს, პატარა კალათით ხელში, რომელიც პირველ 2 კაცებს მოჰყვებოდა ვაგონში. ლაბინცევი რომ დაინახა ამ მესამე კაცმა, კალათი კარიდორში დაავდო, თითონ გაიქცა და ხალხში მიიმალა. პირველი 2 მგზავრი ჟანდარმმა გააჩერა და მორიგის ოთახში მიიწვია. იქვე მიტანილ იქმნა ის კალათი, რომელიც დაავდო მესამე მგზავრმა. ჩემოდნებსა და კალათებში აღმოჩნდა 4,000-მდის სამხედრო პატრონი და 3 დაშლილი თოფი („ვინტოვკა“). მგზავრები აღმოჩნდნენ: 1) შუშის მოქალაქე სარქის სარუხანოვი და 2) ბაქოს მცხოვრები მოვსეს ოსიპიანცი, ხოლო მესამე, რომელმაც გაქცევა მოასწრო, ოსიპიანცის ჩვენებით, ყოფილა შუშის მცხოვრები, სახელად ავაქა. შესაფერის ოქმის შედგენის შემდეგ დამნაშავენი სატუსაღოში გაგზავნეს (ზაკ. რ.)

**ქართული დრამატიული დასი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ესიკოვსკის ცირკში დანიშნული წარმოდგენა „პოიდიპოს მეფე“, სხვა და სხვა მიზეზთა გამო გადაიდო ორშაბათს 31 გიორგობისთვისთვის. (სახალხო სახლში).

**პატივსაცემი ნადიმი.** ახალი კლუბის დარბაზში გუშინ ნაშუადღევის 3 საათზე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ნადიმი გაუმართა მეფის ნაცვლის ამალის წევრს ხანხაჩიჩევანელს.

**ფოსტა-ტელეგრაფის** უფროსი აცხადებს, რომ მისალოც დეპეშებს 4, 6, 24, 31 ქრისტეშობისთვე და 1916 წ. 1 იანვარს არც ერთ დაწესებულებაში გადასაცემათ არ მიიღებენ.

**ჩაუბარებელი დეპეშები.** სოხუმიდან—ბესარიონ გვალიას, მიხაილოვიდან—სვიმონ ღამბაშიძეს, ჰრებალოდან—თევდორაძეს, პეტროგრადიდან—ლომინაძეს.

**უბედური შემთხვევა.** 24 გიორგობისთვეს, ღამით, ექიმი კ... შეიტყო მოულოდნელად ავადმყოფთან... რადგან ექიმი იმ დრო... ხლში არ ყოფილა, ავადმყოფთან უყვანიათ ფერშალი წაბალაშ... რომელსაც თან გაჰყოლია ავლ... საქალაქო სამკურნალოს მსახური. ავადმყოფს, რომელიც გონებაშეშლ... ყოფილა ხურვებისაგან, ხანჯლით სასიკვდილოდ დაუჭრია ფერშალ... და მსახურიც, ხოლო ერთი სხვა ... იქვე მოუკლავს.

**გადამდები სენი.** 24 გიორგობისთვეს ქალაქის საავადმყოფო... იწვენან: ქუნთრუშიანი 136, სახად... 25, საოფლიანი 35, ხუნაგიანი ... ყვავილიანი 3 და მუცლიანი 3... ცი. საავადმყოფოში გარდაიცვ... ხოლერის ნიშნებით 1 კაცი.

**სურსათი.** 24 გიორგობისთ... რკინის გზით შემოიტანეს თბილი... ფქვილი 9 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., ხ... 1 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., შეშა 4 ... ბრინჯი 189 ფუთი, კონსერვები ... ფუთი.

**კოოპერატივი სოფლად.** 21 გიორგობისთვეს მცხეთაში შესდგა მ...თის მომხმარებელ ამხანაგობის „...რა“-ს დამფუძნებელი კრება. ... მჯდომარეობდა ლ. ცაგარელი. კრ... ხალხი ბლომად დაესწრო. თავმჯდ...მარემ გააცნო საზოგადოებას კოოპ...რატიულ მოძრაობის მოკლე ისტორ... აუხსნა მომხმარებელ საზოგადო... მიზანი და დახატა ამგვარ საზოგადო...ბის დაარსების სარგებლობა. ამის შ...დეგ მოხდა არჩევნები. გამგეობის წ...რებად არჩეულ იქმნენ: ს. მ. გე...ვანიშვილი, ვ. ყ. ხუციშვილი და ნ... გიორგის ასული იორდანიშვილი; ... კანდიდატებად მღ. ალ. ჯალიაშვ... პ. ვ. გოგისვანიძე და ქ-ნი ე. ქ. ... თარაშვილი, სარევიზიო კომისიის წ...რებად—მღ. ლ. გედევანიშვილი, ი. ... ფლიაშვილი და ა. დ. გედევანიშვილ... მათ კანდიდატებად—შ. ა. ბედუ...შვილი, ლ. ა. ცაგარელი და კ. ი. ს...ფრონსკი. არჩევნების შემდეგ კრებ... მადლობა გამოუცხადა თავმჯდომარ... ლ. ცაგარელს.

**ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ ...ზოგადოების განყოფილებებს ცირკ...ლიარი დაუგზავნა, რომლითაც უნ... იხელმძღვანელონ ფულის გაცემ... დროს. ამ ცირკულიარის თანახმა... 1) ის ფული, რომელსაც გადმოხ...წილთა სასარგებლოდ მიიღებენ გა...ყოფილებანი, უთუოდ გადმოხვეწილ... და მათ სახლობას უნდა მოახმარო...; 2) ფულის მთხოვნელმა მოწმობა უნ... წარმოადგინოს, რომ ის უთუოდ გად...მოხვეწილია; 3) ერთ სულს მიეცე... სარჩოდ დღე და ღამეში 3 შაური, ...ობოლს ანუ დავრდომილს ერთ აბ... ზამდე, მცირე წლოვან ბავშვს შე... ნახევარი კაპ.

**საგანგებო კრება.** დღეს, 2... გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზ... წერა-კითხვის საზოგადოების გამგე...ბას საგანგებო კრება ექნება, რომელ...ზედაც საბოლოოდ უნდა გამოირკვე... და საზოგადო კრებას წარედგინო... განსახილველად საკითხი ილია ჭავჭავაძისეულ საგურამოს მამულის შესახებ.

## ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს წაკითხული)

(დასასრული *)

სპარსულ რომანტიული პოეზიის აყვავილება მოხდა მე-XII საუკუნეში. ამ დროს პოეზიის გაფურჩვნას თითქმის ყოველისფერი უწყობდა ხელს. მეფენი და წარჩინებულნი პირნი მფარველობდნენ მგოსნებს, უკვეთავდნენ პოემების დაწერას და კარგადაც ამწყალობლებდნენ. ასე მაგალითად, ცნობილმა ნიზამიმ სულთან ყიზილ არსლანისგან მიიღო თავის რომანტიულ პოემაში 14 მშვენიერი მამული. სასახლეში განსაკუთრებული კომისიაც კი ჰყავდათ დანიშნული მეფე მგოსნის ამოსარჩევად. აი, ამიტომ იყო რომ ძველის ძველი სატრფიალო სიუჟეტები ეხლა წამოჰკრიბეს მგოსნებმა და ხელ ახლა გადაკეთება დაუწყეს. ასეთია მაგალითად, ისტორია „ვამონისა და აზრისა“, „ვისისა და რამინისა“, „იუსუფისა და სულეიმანის“ შესახებ და სხვა. ამისა გამო იყო რომ მე-XII საუკ. სპარსეთში წარმოიშვა მთელი რიგი რომანტიული პოემებისა, რომელთა მეტ ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ პოემებში ქებათა-ქებას შესძღვნიან გაიდიალიზირებულ სიყვარულს და თავისებურ ქალის კულტს შეიცავენ. პატარა ეპიზოდი პოემიდან „ხოსრო და შირინიდან“, რომელიც ეკუთვნის ირანის უდიდეს პოეტ ნიზამის, შეგვაძლებინებს გავიგოთ თუ როგორ ესმოდათ იდეალური სიყვარული სპარსულს ლიტერატურაში. პოემის გმირი ქალი შირინი დაიახლოვებს ხუროთ მოძღვარს ფერხადს, რომელსაც ისე შეუყვარდება იგი, რომ მისთვის გონება ეკარგება. მაგრამ მალე ამ უბედურ შეყვარებულს გამოუჩნდება მეტოქე „ხოსრო“, რომელისაგანაც ფერხადი გაიდევნება მთებში. მაგრამ შირინს როდი ავიწყდება ბედკრული სატრფო. საშუალებას გამონახავს მალ-მალ ინახულოს ხოლმე იგი. ეს არ მოსწონს ხოსროს. ერთხელ ხოსრო განიზრახავს ფერხადი თავიდან მოიშოროს. ერთ მოხუც კაცს მიჰგზავნის მასთან და აუწყებს, ვითომც მისი საყვარელი არსება გარდაიცვალა. უბედური შეყვარებული ვერ გაუძლებს ამ ამბავს და კლდიდან გადავარდება და დაიმსხვრევა.

უდაბნოში გაჭრა, ტანჯვა სატრფოს გამო შანთებსა და ღრე-ტყეში, საბოლოო გარდაწყვეტილება, რომ გმირმა თავის ფიზიკურ არსებობას მოუღოს ბოლო, ყველა ეს სპარსულ რომანტიზმის ელემენტები სავსებით გარდაეცა ქართულს რომანტიზმს. „ვეფხის ტყაოსნის“ გმირი ტარიელიც ასეთი ტიპია. მას არ შეუძლიან თავის შეკავება, რადგანაც ვნებათა ღელვამ დაუხშო სიბრძნის უნარი. აი ამიტომაა, რომ სასოწარკვეთილი იგი ეძიებს სიკვდილს. თვით ყოვლად გონიერს და დინჯ ავთანდილსაც კი ხშირად მოსდის აზრი თავის მოკვლის შესახებ. სამი წლის უნაყოფო ძებნის შემდეგ, რომ ასავალ-დასავალი ვერ გაიგო საიდუმლოებით მოცულ ვეფხის ტყაოსნისა, იგი მზად იყო აუთრთოლებლივ სიკვდილზე ხელი მოეწერა.

სპარსულ და ქართულ რომანტიზმის უფრო მეტს ნათესაობაზე გვითითებს იმავე სახელოვან ნიზამის მეორე პოემა „ლეილ-მიჯნუნიანი“. ეს პოემა აგვიწერს უბედურ სიყვარულს ჭაბუკ ყაისისას და ლეილისას, ლეილას მშობლებს არ უნდოდათ, რომ ყაისს შეერთო მათი ქალი. რაკილა იმედი გარდაუწყდა, ყაისი განშორდება იქაურობას, წავა უდაბნოში, სადაც სიყვარულის ცეცხლი უგონობამდე მიიყვანს მას. ამის გამო უწოდებენ მას „მიჯნუნიანს“ ანუ ეშმაკ ჯენით შეპყრობილს. მისი სიგიჟე ერთგვარ მელანქოლიის ძალით იმოსება. იგი განუწყვეტლივ ჰღვრის ცრემლს, უჩივის ბედს, ერთხელ ბადეში გაბმულ მშვლის ნუკრს გადაარჩენს დაღუპვისაგან მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ლეილას სახეს მოაგონებს, რომელსაც იძულებით მიათხოვებენ მისთვის არა საყვარელ ადამიანს. ყაისის მშობლები შვილის დაკარგვას ვერ უძლებენ, ჯავრით იხოცებიან. მეგობრები მიდიან მასთან, სთხოვენ, მომაკვდავი მშობლები შეიბრალოს და შინ დაბრუნდეს, მაგრამ ყაისი ცივს უარზეა და კვლავ განაგრძობს უდაბნოში ყოფნას.

მაგრამ აი, კვდება ლეილას ქმარი. ეხლა მიჯნურთ აღარა უშლისთ რა რომ ერთმანეთს შეეყარნონ. მაგრამ ამისთვის მათ ძალღონე აღარ ჰყოფნით, რომ ერთმანეთიინ ალერსი აიტანონ. მტანჯველ განშორებას დაუძაბუნებია ორივე, ჯერ ლეილა კვდება, შემდეგ თვით მიჯნუნიანი მის ფერხთა წინ დაჰლევს სულს. საიდი, ყაისის მეგობარი, სიზმარში ჰხედავს თუ ეს ორი საყვარელი არსება, ლეილა და ყაისი, როგორ შეჰკონებიან ერთმანეთს სამოთხის გულში.

ჩვენ შეგვიძლიან კიდევ რამდენიმე პარალელი გავატაროთ ნიზამის რომანტიზმისა და „ვეფხის ტყაოსნის“ შუა. ისიც რომ არა ვთქვათ, რომ ყაისის შეშლილი მდგომარეობა, სიყვარულით გონის დაკარგვა ქართულ პოემაში უმაღლეს სიყვარულის გამომხატველ ტეხნიკურ ტერმინად გახდა, სხვა მრავალი მზგავსებაც არის. ტარიელი და ნესტანი როგორც ყაისი და ლეილა ერთად იზრდებიან. შოთას პოემაშიც მეტოქედ ვხედავთ გამოსულს იმავე ხვარამზის მთავარს. უდაბნოში ტარიელი მოჰყვება ვეფხის ალერსს, რომელიც მას ნესტანის სახეს ისევე მოაგონებს, როგორც ყაისს ლეილას სახე წარმოუდგინა გაბმულმა მშველმა. ამნარად, თუნდაც ნიზამის ამ ორ პოემას არ მოვშორდეთ, ჩვენ გვხვდება მთელი რიგი პსიხოლოგიური სიტუაციისა, აგრეთვე სურათოვნება, გარეგნული წვრილმანები, რაიც ასე რიგად აახლოვებს სპარსულსა და ქართულს რომანტიზმს.

ასეთი ურთიერთობა, ასეთი მზგავსებანი არა ერთსა და ორს ისტორიკოსს აფიქრებს, რომ მთლად ქალთა კულტი სპარსულიდან არის შემოტანილი საქართველოშიო.

ქართულ კულტების სხვა და სხვა მხარის ასახსნელად, საზოგადოდ მის ისტორიის გასარკვევად, ხშირად ბოროტად სარგებლობენ მკვლევარნი, ასეთ „გავლენისა“ და „გადმოღებულის“ აღნიშვნით საზოგადო შეხედულობა ისეა შემუშავებული, თითქოს მთელი ქართული ცივილიზაცია ორად იყოფებოდეს და ორს სხვა და სხვა მხარის გავლენას ექვემდებარებოდეს, სპარსულს და ბიზანტიურს. ერთს ჩემს ლექციაში „საქართველოს კულტურა და მისი დამოკიდებულება აღმოსავლეთთან“, მე ვეცადე დამემტკიცებინა, რომ შეუძლებელია მთელი კულტურის ხასიათი აიხსნას მხოლოდ ერთი გადმოღებითა და უცხოთა გავლენითა-მეთქი. და მართლაც, ქართველთა რელიგიაში გნებავთ ურაის ყოფა-ცხოვრებაში, ანუ ხელოვნებაში, ჩვენ მეტად ნაკლები რამ გვხვდება თავისებური, ორიგინალური. მეორეს მხრით, თქმა არ უნდა, ისიც უეჭველია, რომ ადგილ-მდებარეობა ამ ქვეყნისა, პირდაპირი ისტორიული ფაქტები გვითითებენ ფრიად აღმოსავლეთურ თავისებურობაზე. ამიტომ თვითეული მოვლენა ქართველთა ცხოვრებაში უნდა განვიხილოთ ხოლმე ორი მხრით: სპეციფიურ ქართულია იგი თუ საზოგადო აღმოსავლეთური.

თუ დავაკვირდებით ქალთა კულტს, როგორც იგი შემუშავდა მეთორმეტე საუკუნის რომანტიზმში, ჩვენ დავინახავთ, რომ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება ავხსნათ იგი მხოლოდ ირანულ და ბიზანტიურ გავლენისაგან. ქალ... კულტი და მასთან შეთანხმებული ერთგვარი თაყვანისცემა ტრფიალებისა შემთხვევითი როდია, ეგზოტიური მოვლენა ქართველთა საზოგადო ისტორიაში. უეჭველია, რომ ამ კულტის შექმნაში დიდი როლი ითამაშა თვით ქართულ სტიქიის ქალურმა მიმართულებამ, რაიც ქართველმა ერმა გამოჰხატა თუნდა თამარის გაღმერთებაში, ანუ წმიდა ნინოს კეკლუც ლეგენდების შეთხზვაში, ან ღვთისმშობლის ამბავის გადმოცემაში. ქართული ენა ყველა ამის საპატივისცემლოდ განსაკუთრებულად იხრება, განსაკუთრებულ ფორმებს ჰპოვებს გამოსახატად.

ამ ძირითად თვისების საზოგადო აღმოსავლეთური ხასიათის ელფერი აძევს. ამან დაჰბადა ეს საოცარი მიმზგავსება ქართულ რომანტიზმისა და ირანის რომანტიზმისა. ქალის კულტიც მართალია, საზოგადო-აღმოსავლეთური ხასიათისაა, მაგრამ იმავე დროს წმინდა ქართულ რომანტიულ შენობის დედაბოძია, თუმცა დედაბოძი იგი შოთას პოემაში მოკაზმულია სპარსული ორნამენტაციით...

**ვ. გურკო.**

*) იხ. „საქართველო“ № 151.

◆ **ქართველთა ამხანაგობის სტამბის გამგეობა** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: 1) სიმართლეს მოკლებულია ხმები, ვითომც ამხანაგობამ 9 საათის მუშაობა შემოიღო. ამხანაგობის მიერ იყო პირველად შემოღებული 8 საათი და ასე დარჩება კიდეც.

2) სიმართლეს მოკლებულია აგრეთვე, ვითომ მუშებს ამხანაგობამ მოუსპო ყოველი შეღავათი, ამხანაგობისაგან მიცემული.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების** წლიურმა კრებამ, სხვათა შორის, უნდა აირჩიოს წიგნების გამომცემელი სექციის 4 წევრი, საბიბლიოთეკო და სახალხო კითხვების მომწყობ სექციის 3 წევრი და სარევიზიო კომისიის ორი წევრი.

◆ **ი. გოგებაშვილის წერილების გამოცემა.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, რომ მიანდოს წიგნების გამომცემ სექციას შეაგროვოს და გამოსცეს ცალკე წიგნებად იაკობ გოგებაშვილის ყოველგვარი ნაწერები, რომელნიც გაფანტულია სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში და ჯერ ცალკე წიგნებად არ ყოფილა გამოცემული.

## ქართული სახელმძღვანელო წიგნების შესახებ

კერძო სასწავლებლებში მშობლიურ ენის უფლების მოპოვებამ უკვე დაიწყო თავისი ნაყოფის გამოღება და სხვა და სხვა დარგებისათვის მზადდება ქართული სახელმძღვანელოები. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ აზრის გამოთქმა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ექნება ან უნდა ჰქონდეს ქართულად დაწერილს სახელმძღვანელო წიგნებს, ანუ რა მოვალეობას კისრულობენ ამ სახელმძღვანელოების შემდგენელნი.

დღეს დღეობით ჩვენი ენა ძალიან ხელშეუწყობელ პირობებში იმყოფება: იგი დევნილია სკოლიდან, სასამართლოდან, თითქმის ყოველნაირ საზოგადოებიდან... ხოლო ყველა ამისი მიზეზით, როგორც აუცილებელი შედეგი, ქართული ენის დევნა იწყება თვით ქართველის ოჯახიდანაც და მის ადგილს ბატონის უცხო ენა იჭერს. რაკი ესა თუ ის ენა ცხოვრებაში მოუხმარებელია, იგი გამოუსადეგარი ხდება და ხმარებიდან გადის, ივიწყება.

ჩვენი ეროვნული ინტერესი, რასაკვირველია, მოითხოვს, რომ ქართულ ენასაც ისეთი თავისუფლება ჰქონდეს არსებობისათვის და განვითარებისათვის, როგორც ეს ყველა თავისუფალ ერის ენასა აქვს მინიჭებული.

ქართული სკოლის უქონლობის გამო ქართული ენა განვითარებას რომ მოაკლდა არა თუ ერთს წერტილზედ გაიყინა, არამედ წაირყვნა და დაქვეითდა კიდეც.

საბედნიეროდ, რაკი უკიდურესმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიურმა მდგომარეობამ უკანასკნელს ხანებში ხალხი თანდათან გამოარკვია და გამოაფხიზლა, ქართული ენის მოთხოვნილებაც იმდენად გაიზარდა, რომ დღეს ჩვენი ენა უკვე ძლიერს აღორძინების ხანაში გადავიდა.

მაგრამ ქართული ენის ხმარება ჯერ პოეზიის და გაზეთების დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხების შინაარს თითქმის არ გასცილებია. ენის კლასიკურად ანუ მეცნიერულად განვითარებას კი სკოლა და მეცნიერება ესაჭიროება. რაკი ჩვენ აღარა გვაქვს ეროვნული სკოლა და მეცნიერება, ეს შემაერთებელი ძარღვი სხვა და სხვა კუთხის ქართველებისა, ამიტომ ამ გარემოებამ ძალიან ხელი შეუწყო სხვა და სხვა მხარეებში ადგილობრივ კილოკავების განვითარებას და მოსპო ერთი, ანუ საერთო ლიტერატურული ენა. ხოლო რადგან ქართული ენის ერთი უმთავრეს ღირსებათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი კაცი სალაპარაკო ენითა სწერს, ზევით დასახელებულ მიზეზის გამო საქართველოში დღეს მრავალნაირადა სწერენ და აღარ არსებობს ერთი მართლწერა. ამიტომ, **თუმცა ქართული ენის თვისება არავითარს განსაკუთრებულს მართლწერის კანონებს არ შეიცავს,** მაინც უნდა იქმნას ქართული მართლწერა დამუშავებული და საყოველთაოდ დაკანონებული,—**ამას მოითხოვს ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა, — რათა კვლავ აღდგეს და გავრცელდეს საქართველოს ყოველ კუთხეში ერთი ქართული ენა, რომლის წერის და მეტყველების კანონი ერთი და იგივე იქნება. ეს „ერთი ენა“ ჩვენ დღეს ჯერ არა გვაქვს მეცნიერულად შემუშავებული. იგი ეხლა, სწორედ ამ მომავალ სახელმძღვანელოების შემდგენლებმა** უნდა შეიმუშაონ და დაამკვიდრონ.

ქართული ენა არ უნდა იყოს უხეში და სიტყვებით ღარიბი,—წინააღმდეგ შემთხვევაში შოთა და პეტრიწები არ ეყოლებოდა ქართულ მწერლობას,—მაშასადამე მრავალი საჭირო სიტყვა შეგვიძლიან ამოვიღოთ ქართულ სიტყვიერების ძველ სალაროდან და ვიხმაროთ იგი. ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა, რომ ახალ სახელმძღვანელო წიგნების დამწერმა კარგად იცოდეს ჩვენი ძველი მწერლობა.

მაგრამ მხოლოდ ეს როდი კმარა. უკანასკნელმა საუკუნოებმა მრავალი ისეთი ახალი აზრი დაბადა და ცნება შექმნა, რომ მათს გამომხატველს სიტყვებს ჩვენ ვერა ვპოვებთ ვერც ეხლანდელს ჩვეულებრივ სახმარებელ ქართულ სიტყვათა შორის და ვერც ძველს ჩვენს მწერლობაში, ბევრიც რომ ვეძიოთ. ამიტომ ეხლანდეს ქართულ სახემძღვანელო და სამეცნიერო წიგნების წერის დროს მრავალი ახალი სიტყვის შემოღება იქნება საჭირო ქართულს ენაში; და ამ ახალ ხმარებულ სიტყვების სიმრავლეზედ იქნება დამოკიდებული ენის გამდიდრებაც. მრავალ შემთხვევაში, უეჭველია, იძულებული ვიქნებით პირდაპირ უცხო სიტყვები შემოვიღოთ,—ამ შემთხვევაში უეჭველად საერთაშორისო სიტყვებს უნდა მივცეთ უპირატესობა, რასაკვირველია, არა განურჩევლად ამა თუ იმ უცხო ენის სიტყვებს, რომლებიც შემთხვევით ჩვენ ვიცით,— მაგრამ უცხო სიტყვების სიმრავლეს შეძლების დაგვარად უნდა ვერიდნეთ. ჩვენი ყოველივე ცდა უმთავრესად იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ახალი სიტყვები ქართულივე სიტყვები იყვეს, ქართული სიტყვის ძირიდან ნაწარმოები და ქართული ენის კანონების მიხედვით შედგენილი. ამ გვარ შრომას პირნათლად შესძლებს მხოლოდ ის, ვინც ჩვენს ძველსა და ახალს მწერლობას კარგად იცნობს და მცოდნეა ქართულის ენისა მხოლოდ ლაპარაკით და ნალაპარაკევის წერით კი არა, არამედ ვინც სიტყვებს, მის შინაარსს ჩაჰკვირვებია და სიტყვის აგების ანუ ქმნილების წესს მიმხვდარა. გარდა ამისა, უნდა დაუმატოთ, რომ აქ ერთგვარი შესაფერი შემოქმედებითი უნარიც უნდა მოეპოვებოდეს ადამიანს. მართალია, ჩვენ დღეს დღეობით ბევრი ლივისტი - სპეციალისტი არა გვყავს, მაგრამ საკმაოდ მოგვეპოვებიან ისეთი პირნი, რომლებმაც თითქმის ზედმიწევნით იციან რამდენიმე კულტუროსან ერის ენა, და ეს სხვა და სხვა ენების ცოდნა საკმაო დიდს დახმარებას გაგვიწევს ქართული ენის და სიტყვების დამუშავების დროს (რასაკვირველია, ბრმა წაბაძვაც არ ივარგებს).

აქვე მინდა მოვაგონო მკითხველს, რომ ძველს ქართულს მწერლობაში ნამეტანი გავრცელებული იყო განსაკუთრებით ბერძნული, არაბული და სპარსული სიტყვების ხმარება; და ყველა ამ სიტყვების შემოღება ახალ მწერლობაში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვები ძველ ქართულს მწერლობაში იხმარებოდა, რასაკვირველია შესაწყნარებელი არ იქნება.

ამის გარდა აუცილებლად საჭიროა ქართული სახელმძღვანელო წიგნები იხილებოდეს ქართული ენის მცოდნეთაგან შემდგარს ერთსა და იმავე უმაღლესს კომისიაში, რათა ყველა წიგნი ერთისა და იმავე ბეჭდისა გამოდიოდეს.

ამ კომისიის ავტორიტეტს უნდა ექვემდებარებოდეს და მან უნდა დართოს ნება ყოველივე სიტყვას საზოგადოდ ხმარებისა. მხოლოდ ამ გვარად შეიქმნება და გავრცელდება ხალხში ერთი ქართული ენა. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ამ სახელმძღვანელოებით სამუდამოდ (თუმცა არა უკანასკნელად) ხალასდება და იქმნება განახლებული ქართული ენა, რომელსაც შეეძლება საზოგადო კულტურის და მეცნიერების მსახურება და, მაშასადამე, საკაცობრიო ცხოვრებაში საპატიო ადგილის მოპოვება. ამიტომ ქართულ სახელმძღვანელო წიგნების შედგენას ყოველმა ავტორმა დიდის დაკვირვებით და სიფრთხილით უნდა მოჰკიდოს ხელი. არა კმარა მხოლოდ ქართული ენის ცოდნა, წიგნის დამწერმა აუცილებლივ ზედმიწევნით უნდა იცოდეს თვით ის საგანიც, რომლის შესახებაც ის წიგნის წერას აპირებს. მხოლოდ კეთილი განზრახვა ძალიან ცოტასა ჰნიშნავს ამ საქმისათვის, შესაფერი მომზადება, ძალაც უნდა შესწევდეს ადამიანს ხელში აღებულ საქმისათვის.

**მ. შალამბერიძე.**

## მცირე შენიშვნა

**ცოტა რამ წერა-კითხვის საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობის შესახებ.**

**(სახალხო კითხვების მომწყობ სექციის საყურადღებოდ).**

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოებას უფრო მეტი სიცხოველე ეტყობა მუშაობაში; მისი მოქმედება უფრო და უფრო ედება სოფელს და მაშასადამე ჰპოვებს თავის ნამდვილ დანიშნულებას. ამას წინად გაზეთში აღნიშნული იყო რომ სახალხო კითხვების მომწყობ სექციის დავალებით ილია ნაკაშიძე გაემგზავრა სოფლად სახალხო კითხვების მოსაწყობადო. რასაკვირველია, ამგვარ კითხვების მოწყობა მეტად ძვირფასი და სასარგებლო რამ არის, მაგრამ თუ გვსურს რომ ამ მუშაობამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს. საჭიროა მათ მოწყობის დროს მხედველობაში ვიქონიოთ სოფლელის ფსიხიკა და მისი ცხოვრების თვალთსაზრისი, ვინც სოფელს ოდნავად დაჰკვირვებია, კარგად იცის რომ ჩვენი გლეხი თავის ბუნებით მეტად იჭვიანია და ნდობის თვალით ადვილად არავის შეჰხედავს.

დაშინებული მწარე ცხოვრებით მის გონებას ვერ წარმოუდგენია, რომ სოფლად ვინმე მივიდეს რაიმე კეთილ განზრახვით და მას მეგობრულად დახმარების ხელი გაუწოდოს. ყველგან და ყველაფერში მხოლოდ თავის გამცარცველს ჰხედავს. სწორედ გლეხურ ამ ავადმყოფურ უნდობლობით აიხსნება ის სიძნელე და გასაჭირი, რომელიც თან სდევს სოფელში მომუშავე ინტელიგენტს. მაგრამ საკმარისია ადამიანი აღიჭურვოს გლეხის ნდობით და პატივისცემით რომ სოფელი მას უსაზღვრო ბავშურ ნდობით მოეკიდოს და მის მოღვაწეობას შესაფერი ნაყოფიც გამოაღებინოს.

სახალხო კითხვების მოწყობის დროს სექციამ სწორედ გლეხის ხასიათის ამ თავისებურობას დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს და განზრახულ კითხვებს შემთხვევითი საგასტროლო ხასიათი კი არ მისცეს, არამედ მოაწყოს პერიოდული სახალხო კითხვები, რომელნიც უმთავრესად მიმართულნი იქნებიან სოფლის მრავალ ნაკლულევანებათა თავიდგან ასაცილებლად. ასეთ სისტემატიურ ლექციების კითხვა უფრო შესაფერისად მიგვაჩნია მიენდოს სოფლის მასწავლებელთ, როგორც სოფელში მუდმივ მცხოვრებთ, ვინაიდგან გლეხის იჭვიან გატეხილ გულს ნაცნობ მასწავლებლის სიტყვა უფრო მოხვდება, ვიდრე სხვა რომელიმე უცხოსი, თუნდაც ეს უკანასკნელი დახელოვნებული მცოდნე ლექტორიც იყოს. მართალია ამ გვარ მუშაობისთვის დღევანდელი სოფლის მასწავლებლის ტიპი ნაკლებად არის მომზადებული, მაგრამ იმედია მათ მრავალ რიცხოვან რაზმში მოიპოვება თითოოროლა პირი მაინც, რომელთაც მშობელ ხალხის უანგარო სიყვარული და სექციის იდეური ხელმძღვანელობა შეაძლებინებთ ამ საქმეს. რაც გინდა მცირე იყოს ასეთ სისტემატიურად მომუშავეთა რიცხვი, მათი მოღვაწეობა გაცილებით უფრო ღრმა კვალს დასტოვს ხალხში, ვიდრე ქალაქის ლექტორები სოფელში საგასტროლოდ ჩამოსულნი. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს რომ ამ კითხვებს უფრო დიდი ფასი დაედება თუ რომ ლექტორს საშუალება მიეცემა თავის აზრი შესაფერ სურათით გააშუქოს; ამიტომ კარგს იზამდა სახალხო კითხვების მომწყობი სექცია თუ სათანადო თანხას გამოსძებნიდა ბუნდოვან სურათების აპარატების შესაძენად. ამ გვარ სურათებით გაშუქებული აზრი უფრო მარტივი და გასაგები იქნებოდა გლეხის გონებისთვის. დასურათებული სისტემატიური ლექციები ლოთობაზე, ჰიგიენაზე, ჭლექზე და მრავალ სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენს დაქვეითებულ სოფელს და სექციასაც ამაგი დაუფასდებოდა.

**ვ. ც—ლი.**

## მოხსენება სურსათ-სანოვაგის შესახებ

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრმა პ. ა. გოთუამ ვრცელი დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა სასურსათო კომისიას, საკვებ მასალის შეძენის შესახებ. მოხსენების ავტორი, აღწერს-რა ეხლანდელ საერთო გაჭირვებას, სხვათა შორის ამბობს:

ასეთ დროს ქართველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ აუცილებლივ ენერგიულად უნდა მოჰკიდოს ხელი სურსათის შემოზიდვის საქმეს. ეს მით უფრო სავალდებულოა საქველმოქმედო საზოგადოებისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველივე პროვინციულ ცენტრში ჰყავს თავისი განყოფილება და ხალხიც იმედით შეჰყურებს მას, რომ ამ გაჭირვებულ დროს იგი ერობის მაგიერობას გასწევს. ამისათვის მოხსენების ავტორს საჭიროდ მიაჩნია: 1) მომქმედი პირები, როგორც თბილისში, ისე პროვინციებში, 2) პურისა და სიმინდის საწყობების გამართვა პროვინციის ცენტრებში და 3) ამ საქმისათვის საკმაო თანხის შოვნა, რომ სურსათი იაფად იქნეს შეძენილი და ხელმისაწდომ ფასებში შემოტანილი, საქართველოს ყველა კუთხისათვის. მომქმედი პირები არიან და ყველანი დიდის ხალისით იმუშავებენ. საწყობებისათვის სახლები მოიპოვება და თუ საკმაოდ არ არის, მათი მოწყობა ადვილად შეიძლება. მთავარ საკითხს შეადგენს თანხის შოვნა, მაგრამ საქველმოქმედო საზოგადოებას ესეც შეუძლიან, ასეთ გაჭირვების დროს ხალხის გამოკვება სახელმწიფოებრივი ვალდებულებაა და სახელმწიფოც ყოველგან ეხმარება ხალხს, როგორც პირდაპირ ფულის მიცემით, ისე ერობებზე და ქალაქის გამგეობებზე ფულის სესხად გაცემით, რათა სასურსათო საქმე მოაწყონ. ასეთ დროს საქველმოქმედო საზოგადოებასაც შეუძლია მთავრობას წარუდგინოს მოხსენება და საჭირო ფული უპროცენტოდ აიღოს სესხად, საიმპერიო სასურსათო თანხიდან. ამ თანხით სარგებლობენ ერობები, ამ თანხიდანვე ითხოვა სესხად თბილისის ქალაქის თვითმართველობამ 3 მილიონი უპროცენტოდ. შეკრებილ ცნობების მიხედვით, მიმდინარე სასურსათო წელს, ქართველ ხალხს ესაჭიროება თორმეტ მილიონ ფუთამდე პური და სიმინდი. რადგან ამოდენა სურსათის ერთბაშად შემოზიდვა შეუძლებელია, ამიტომ უნდა გაიმართოს საწყობები პროვინციებში, საცა უნდა შეგროვდეს ძირითად სარჩოდ არა ნაკლებ 2 მილიონ ფუთისა. ეს საქმე რომ რიგიანად მოეწყოს, საჭიროა 3 მილიონამდე მანეთი. საზოგადოებამ შუამდგომლობა უნდა აღძრას მეფის ნაცვლის წინაშე, რომ მიეცეს მას საიმპერიო თანხიდან უპროცენტო სესხად 3 მილიონი. რადგან ხალხს შეუძლია სანოვაგის ყიდვა და ამისათვის ხარჯს არ მოერიდება, ამიტომ საქველმოქმედო საზოგადოება დახარჯულ ფულს უკანვე დაიბრუნებს და როცა კრიზისი გადაივლის, მთავრობის ვალს გაისტუმრებს.

## ერთი მრავალ შემთხვევათაგანი

გუში 25 გიორგობისთვეს, დილის ათ საათზედ ვაგზლიდან ჩერქეზიშვილის ქუჩით მომავალი ტრამვაის ვაგონი № 59, შესდგა ჩვეულებრივ ადგილას, მესამე მომრიგებელ სასამართლოსთან. ის-ის იყო ვაგონი დაიძრა, რომ ერთი სოფლის გლეხი ასე 18 წლის ყმაწვილი შემოახტა, შესდგა საფეხურზე და დასაჯდომ ადგილის ძებნა დაუწყო. უცბად ვაგონის კონდუქტორი, სარდიონ ჩოჩიაშვილი მივარდა საფეხურზე მდგომ სოფლელს და გაუფრთხილებლათ რაც ძალი და ღონე ჰქონდა სილა გაარტყა. ყმაწვილი ერთბაშად მოსწყდა ვაგონს და საფეხურის გასწვრივ ქვეშ მოჰყვა ვაგონს. მგზავრებმა ყვირილით და ზარის ჩამორეკვით ვატმან მამედ მამედოვს მოსთხოვეს ვაგონის გაჩერება, მაგრამ ვატმანმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ თხოვნა გაფრთხილებას და ქვეშ მოტანილი გლეხი ვაგონმა ათ-თუთხმეტ საჟენზე გაათრია. ვაგონის შეჩერების შემდეგ ყმაწვილი გამოათრიეს პირველ ვაგონზე მიბმულ მეორე ვაგონიდან. ყმაწვილს ორივე ფეხი მოტეხილი აქვს, მთელი ტანი დამტვრეული. სიცოცხლის ნიშნები არ ჰქონდა. ეს ცოცხალ-მკვდარი პოლიციელებმა წაიღეს მიხეილის საავადმყოფოში. ყმაწვილის ვინაობა ჯერ არ არის გამორკვეული. კონდუქტორ-ვატმანის ასეთ მხეცურმა საქციელმა მთელი საზოგადოება აღაშფოთა. მასთან უნდა შევნიშნოთ რომ ამისთანა შემთხვევა თითქმის ყოველ სამ-ოთხ დღეში ჰხდება. ტრამვაის დირექცია არავითარ ზომას არ ღებულობს. საჭიროა დირექციამ სათანადო ყურადღება მიაქციოს კონდუქტორ-ვატმანების თავგასულობას და ჩააგონოს მათ რომ ყოვლად შეუწყნარებელია ამნაირი მოქმედება.

**დამსწრეთაგანი.**

## მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე

1906 წელს 13 ენკენისთვეს მივდიოდი ფშავის ხევით ხევსურეთში. ს. კინვალში, სადაც მთიულეთ-გუდამაყრის არაგვი ერთვის ფშავეთის არაგვს, შემხვდა კახეთით მომავალი დ—ი. მისალმების თანავე მკითხა: „საით მიბრძანდებით, ხევსურეთს თუ შინისკენ?“ ხევსურეთს მეთქი. შეჯდა ცხენზედ და გავსწიეთ. ვიარეთ თვალივამდის, შევიარეთ მაღაროს კარიც, მივედით ჩარგლის ხევზედ. აი ამ ხევზედ მდებარეობს ს. ჩარგალი, სადაც დაიბადა და სცხოვრობდა ჩვენი დიდებული პოეტი ვაჟა-ფშაველა. მიუახლოვდით ეგრედ წოდებულს „ვაჟას დუქანს“. ეს დუქანი ვაჟასი იყო, ხოლო იჯარით ჰქონდა ხოლმე გაცემული სხვა და სხვა მოვაჭრეებზედ.

ჩამოვხტით ცხენებიდან და დავეშვით იქვე კლდის ძირში მჟავე წყლის დასალევად. მჟავე წყლის პირზედ გულ-აღმა გაწოლილიყო ვაჟა ახალუხის ამარა, უქამრო, დაგლეჯილ ჩუსტებში ტიტველა ფეხებ წადგმული, თავ ქვეშ ყაბალახ ამოდებული, თვალებით ცას მისჩერებოდა, ცალი ხელი გულზედ ედო, ხოლო მეორე ხელის თითებს ბალახზედ ათამაშებდა. ჩვენ დიდხანს ვუცქირეთ. იმან ჩვენი მისვლა ვერ გაიგო ვიდრე თავზედ არ წავადექით და არ მივესალმეთ. წამოჯდა, ვაჟა „მიცოცხლოს თქვენი თავი! საიდან საით? ხომ დაღამდა კიდეც, სადღა ახვალ შუაფხოს, ორ წყალსაც ვერ უწევთ, წავიდეთ შინისკენ. მე ჩამოველ მჟავე წყლის წასაღებათ“. გაავსო ჭურჭელი და თვითეულს ჭურჭელს თითო კენჭი ჩააყოლა, „თუ ასე არ მოიქეცი, ახირებულ ძალა აქვს, ჭურჭელს ხეთქს“,—სთქვა ვაჟამ.

გზაში ვაჟამ გვიჩვენა მის მიერ გაკეთებული სამკურნალო წყალი და სთქვა: „ეს წყალი ბევრს მიაქვს დახუთულების და სხვა და სხვა სნეულებიანებისათვის, ამბობენ ბევრს ძლიერაც რგებსო, წასულს კვირას დუშეთშიაც კი წაიღეს რამდენიმე საპალნე, თითო ტიკს თითო შაური დავადე ბაჟი.“

მე გამეცინა.

— „არა კი არა ვხუმრობ, რჯულის მადლმა მართალს გეუბნები, მართალს; და ეს იმიტომ კი არა, რომ მე პირადი სარგებლობის უჯიათი მქონდეს, არა ამ წყლის წამლები სახელმწიფო ქონებათა მართველობის საჩივარზედ მოწმებად მადგებიან. *) ხსენებული მართველობა აგერ რამდენიმე წელიწადია მედავება მარტო ამ რიყეს კი არა დუქანს და მის მიდამოებსა. მე კი ხელთ მაქვს როგორც საკუთრება, შენობას ქირით ვაძლევ, გამვლელ-გამომვლელს ფულს ვახდევინებ. თუ ძალაზედ მიუშვებ საქონელი, მხოლოდ ცოტას და სწორედ იმავე მოსაზრებით. თუ ასე არ მოიქეცი ჩვენს კაცს ფიცის ქვეშ ვერ ათქმევინებ რაც არ არის, იმას კი იტყვიან. საბალახეს, დუქნის ქირას და სხვა ვაჟას ვაძლევთ და არა ხსენებულ მართველობასაო. იქნებ შენ სხვა და სხვებმა ბევრი რამ სხვა გითხრან, მაგრამ ეგ გაუგებრობა იქნება. დეე, ამაზედ ვინც რაც უნდა სთქვას, ხოლო საგენტო მამულს კი აქ ადგილი არა აქვს“.

აქ მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო ვაჟას ხალხთან დამოკიდებულებაზედ.

„შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, ასე იყო ვაჟას თავზედაც. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ხალხისათვის იყო და ხალხი მას უყვარდა, სამაგიეროდ ხალხი მას არა სცნობდა და არც ჯეროვანს პატივსა სცემდა. ვაჟა, ყველას მოეხსენებათ, ხვნა-თესვას მისდევდა, განუწყვეტლივ შინ იჯდა და მისჩერებოდა თავის არსებობის წყაროს. თორემ იქაური მთიან-ხრიოკიანი ნიადაგი ნამუშავარსაც ვერ აუნაზღაურებდა პატრონს, თუ მას განსაკუთრებული ყურადღება არ ექნებოდა მიქცეული. მისთვის იგი ყოველს წელს თავის ხელით სახნავ თუ სათიბ მიწების საზღვრებზე დიდს და რამდენსამე ქვის ზვინებს დააყენებდა ხოლმე. ვაჟა დღე-ღამეს ასწორებდა მუშაობაში, რიყეს აქვავებდა, პატივს აყრიდა და ამგვარად უპატრონოდ მინებებულ გამოუსადეგარს ადგილებს სახნავ-სახნავ-საბოსტნე მიწებად აქცევდა, ამასთან ვაჟას ძლიერ სწყინდა ნამუშავრის წახდენა, თავისი იქნებოდა იგი თუ სხვისა, რაზედაც არა ერთხელ მოსვლია ჩხუბი მეზობლებთან და ზოგჯერ იარაღამდისაც მისულა საქმე **). მიუხედავად იმისა, რომ მელექსეობა საზოგადოდ ფშავეთში გავრცელებულია და თითქმის ბუნებრივად ყველა აქაური დაჯილდოებულია, წერა-კითხვის მცოდნე ცოტას შეხვდებით და რომ ვისმეს რიმე სწავლა-განათლება მიეღოთ სადმე რომელიმე ქალაქში იშვიათია, გარდა ერთად-ერთ პავლე მღვდლის ოჯახისა, ვაჟას მამისა, რომელმაც ცოტად თუ ბევრად სწავლა მიაღებინა თავის შვილებს.

როდესაც მ. პავლეს შვილები წამოიზარდნენ, სამსახური მიიღეს და თვისი ბუნებრივი ნიჭით სახელი გაითქვეს, მის მეზობლებს შურისძიება ჩასწვდათ გულში (ს. ჩარგალში თითქმის სულ ერთი გვარის მცხოვრებნია—რაზიკაშვილები). ვაჟას შინ დაბრუნებამ, თვისის მამულის მოვლა-პატრონობამ ხალხს ხელმეორედ აღუძრა სიძულვილი, მით უმეტეს მაშინ, როცა ვაჟამ ხელთ იგდო სააგენტო მამულები. თუმცა კი ვაჟა ეუბნებოდა ხალხს, რომ ყველა ის, რაც კი მისია—ხალხისაა, რომ ის კერძოდ თავის თავისათვის არ იბრძვის და დასაკუთრება ხსენებულ მამულებისა ხალხის სახელით შეუძლებელიაო“. ეს ასეც იყო, მაგრამ ხალხს მაინც ეჭვი ებადებოდა. აი სწორედ ამისთვის ხალხი, ჩვენს დიდებულს მგოსანს, ჩვეულებრივ მელექსეს უწოდებდა, რაც არა იშვიათია ფშაველებში.

საზოგადოებამ კარგად უწყოდა რომ ვაჟას ოჯახი ნივთიერად დიდს გაჭირვებას განიცდიდა, რაც აიძულებდა ვაჟას სხვა და სხვა მისთვის არა სასიამოვნო საქმეებისათვის მოეკიდნა ხელი, თვითონაც დაკმაყოფილებულიყო და ხალხისათვისაც თვისის მოქმედებით სარგებლობა მოეტანა, უწერდა თხოვნებს, შუაკაცობდა, დამცველადაც კი გამოდიოდა სასამართლოებში და სხვა. ამ შემთხვევაში კი ხალხი ვაჟას ალმერთებდა და პატივის ცემასაც უწევდა.

შეუდექით ხეობას. ვაჟას სახლი აქედან ორი ვერსის მანძილზედ იქნებოდა. გზაში ვაჟამ დაიწყო ოხუნჯობა, ჩამოვარდა ჭიდაობაზედ ლაპარაკი. ვაჟამ მოიგონა თბილისში რიყეზედ როგორ დაეხვივნენ ექვსი შვიდი „მოლოკანი“ და თითო შემოკვრით როგორ სცვიოდნენ ძირს. ჩემმა თანამგზავრმაც თვისი წარსული, თუ როგორ ჭიდაობდა იგი კულა გლდანელთან.

ასეთმა თავის ქებამ გამოიწვია ორთაშუა სურვილი ჭიდაობისა, ხოლო ვაჟას არ უნდა სწყენოდა თუ ვინიცობაა წაიქცეოდა. ორივე მოჭიდავენი ეკვეთნენ ერთმანეთს, იგდო ვაჟამ თეძოზედ და ისე მაგრა დასცა ჩემი მეგობარი, რომ მგონია დღესაც ეტყობა იმ ადგილს მისი აგებულების სურათი. სიცილს საზღვარი არა ჰქონდა. მიუახლოვდით სოფელს, აგერ ვაჟას სახლიც, იგი წარმოადგენდა ერთ პატარა შენობას ორ ოთახიანს, ორ-ორის პატარა ფანჯრებით, იქვე იყო გომური. შევედით სახლში კარების პირდაპირ ორი ფიცარი იყო. ჯოხებზედ გაწყობილი. ნახევარ ადლის სიმაღლეზედ, ზედ ქუთები ეწყო, ქვეშ იდგა ორი დიდი „შტოფი“ წნელით შემოწნული, ჩრდილოეთით იდგა მოკლე მხოლოდ განიერი ფიცრის ტახტი, თეთრ ნაბდით გადაფარებული, რაზედაც იდო ერთი წითელი ჩითით გადაკრული მუთაქა. დასავლეთის მხარეს ტახტის ბოლოს კუთხეში ბუხარი იყო გამოჭრილი, იქვე ახლო იდგა ოთხ ფეხა პატარა მაგიდა, რომელსაც ორი ფეხი სულ აღარა ჰქონდა, რის მაგიერ აგურის ქვები ჰქონდა შეწყობილი, ეტყობოდა მაგიდას, რომ დიდი ამაგი ჰქონდა პატრონისათვის გაწეული და პატრონსაც ის უყვარდა, თორემ მისი გამოცვლა იქ სადაც მრავალი ხე ტყეა სულ ადვილი იყო.

მაგიდაზედ ეწყო რამდენიმე „ცნობის ფურცლის“ დამატება და საწერელ კალამი. იქვე ახლო იდგა ერთი ფიცრის სკამი წელის მისაყუდებლად, ხოლო ორი სოფლური სამ ფეხა სკამი.

დავსხედით დავიწყეთ საუბარი, ვაჟას ისევ ჩემი ფალავანი აგონდებოდა და რამდენსაც შეხედავდა იმდენჯერ გაიცინებდა, ვაჟამ იმ ღამეს ბევრი რამ საგულისხმიერო გვიამბო, სხვათა შორის გველაპარეკა ხევსურებზედ და მათ ზნე ჩვეულებაზედ.

— „დამნაშავენი არიან მღვდლები, რომ არ სცხოვრობენ მათში და უფრო ისინი, სთქვა ვაჟამ ვინც მათ ნიშნავენ აქა. აქ ინიშნება მღვდელი მარტო ჯამაგირისათვის და არა ხალხის სულიერ მოთხოვნილებისათვის. მთაში უნდა ინიშნებოდეს მღვდელი საშუალო სასწავლების ცოდნით, უნდა სცხოვრობდეს მათში ზამთარ-ზაფხულ და ჯილდოც შესაფერი უნოა მიეცეს, აი მხოლოდ მაშინ შეიძლება მათი მიჩვევა ეკლესიაში და აღდგენა მათი თუ მათში არის არა ქრისტიანული რამე, რასაც მე ვერა ვხედავ. თორემ ეხლანდელი მღვდლები ზოგი მებადურია, ზოგი დალაქი, ზოგი ხარაზი და ერთი სიტყვით სადაც კი ოხერ-მოხერია სულ აქეთ არიან გამოგზავნილნი, მოვლენ ორის დღით, ხოლო მესამე დღეს

*) საქმე მგონია დღესაც დაუსრულებელია სამოსამართლო პალატაში.

**) აქაური მცხოვრებნი თოფებს ჯოხივით ატარებენ და უთოფო კაცი დიაცად მიაჩნიათ.

ერბო-კარაქით დატვირთულნი ბრუნდებიან შინ, ბლოჩინმა დამითხოვაო. რჩებიან შინ წლობით. სარწმუნოება აღადგინეთო, ასე სარწმუნოების აღდგენა შეუძლებელია. ღმერთი, რჯული, ხევსურებს უფრო კარგადა სწამთ ღმერთი და უჭერიათ სარწმუნოება, ვიდრე მაგათთანა ოხერ-მოხრებს. ხევის ბერების მიერ წარმოთქმულს ლოცვებს მოუდე გვერდზედ სახარება და დაბადება და მაშინ დარწმუნდებით რომ სულ იქიდან არიან ამოკრებილნი. *) უმღვდლოდ შეწუხებულნი ხევსურნი, ვისაც ცოტაოდენი კითხვა სცოდნია ზოგი რომელ ფურცლიდან, ზოგი რომლიდან ამოუღიათ სიტყვები და თავისებურად შეუდგენიათ, მამაო ჩვენო ცალკე, საფლავის საკურთხეველი ლოცვა ცალკე, მწამსი ცალკე, დასამწყალობელი და სხვა... და აი ამნაირად უდიდებიათ ღმერთი, და დღესაც უმღვდლოდ ამას სჩადიან. ასე ასაფლავებენ მიცვალებულებს, ნათლავენ ბავშვებს მხოლოდ ამნაირად. თუ ერთხელ სადმე მღვდელმა მონათლა ბავშვი, იმ წყალს აღარ გადაღვრიან, ამ წყლით აფრუკენ ნაცარს, გააკეთებენ რამდენსამე გუნდს და შეინახვენ. როცა საჭირო იქნება, ამ გუნდას გახსნიან ისევ წყალში და უკვე დამწყნვარს წყალში ამოავლებენ მოუნათლავს ბავშვს და უწოდებენ სახელს. ამისთანა მონათვლა ბავშვისა მათ სწამთ, ვინაიდგან მირევნიან წყალში ამოევლო ბავშვიო. დაუკეტეს დიდი ეკლესიები ს. ლეჩაისკარს და არდოთს **) მღვდლები კი არსად იყვნენ.

დღეს უმშვენიერესი ეკლესიის დანგრეული კედლები-ღა მოწმობენ იქ ახლო წარსულში ეკლესიების არსებობას. შატილელთ კი, სადაც ორმოცდაათ კომლამდეა და მღვდლის რეზიდენციაა, არა აქვთ ეკლესია. არის ერთი პატარა, რომელიც წვიმის დროს წყლით ივსება, ეს ეკლესია უმაღლესის ბრძანებით არის გაკეთებული 1849 წ. ისიც ჯილდოდ ახვერდ მახმადის დამარცხებისათვის, ხევსურებისვე მოთხოვნილებით აშენებული.

„ხინკალი მგონია მზად არის, ზოგი ხვალ ვილაპარაკოთ, თქვენ ნამგზავრები ხართ, ძილი გინდათ“. გაიშალა ტახტზედ სუფრა, მოიტანეს ხონჩით ხინკალი, ვაჟამ წნელით შებორკილი შტოფი გვერდს მოიდგა, დამძახა: „ალავერდი შენთანაო, ხინკალზედ თითო კარგია, თქვენებურს არაყს კი არა ჰგავს, პანტისაა, აბა „არომატი“ გაუშინჯე, ამ ბიჭმა იცის“, დაიდო გულზედ ხელი.

ვახშამი გემრიელად გიახელით, უხვი მასპინძელი რაც შეიძლებოდა გვიმასპინძლდებოდა. გავათავეთ ვახშამი, ვაჟამ ხონჩა გადასცა სუფრიდან თავის ქალს, რომელიც იქვე იდგა, გადიწერა პირჯვარი და სთქვა: „ღმერთო შენს მოწყალებას ნუ მოგვაკლებ შემდეგშიაც, აქა მრძანებლებიც კარგად მიმყოფეო“. გამოგვეთხოვა ვაჟა: „ხვალ ადრე არ აიშალნეთ, ვისადილებთ და ისე წახვალთო“, დაგვავალა ვაჟამ.

ჩვენ იქვე გაშლილს ლოგინებზედ გადავედით, ჩემი მეგობარი კი ფიქრებს მიეცა. „ნეტა დღესაც არ მოვსულიყავი, თორემ რაც შენ დილაზედ აქ მნახო მაშინა სთქვი“,—შემომხედა და პირ-ღიმილით სთქვა.

მართლაც ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იყო რომ ჩემმა თანამგზავრმა გამომაღვიძა ცხენები მზათ არიანო. წამოვდექით და გამოვედით ფეხ აკრეფით, რომ ვაჟას არ გაეგო ჩვენი წასვლა.

უკანასკნელად სამკურნალოში ვნახე სავარძელში მწოლიარე გაძვალტყავებული, მხოლოდ ფხიზელი, გონივრულ აზროვნებით აღსავსე. იგი ნატრობდა ერთხელ კიდევ მიმოევლო თვალი თავის სამშობლოსთვის, დამტკბარიყო იქაურის ბუნებით, მაგრამ რამდენიმე დღეც და საუკუნოდ გამოემშვიდობა თავის არე-მარეს და თავის საყვარელ კერას.

**კოტე ფასანაურელი.**

## პროვინციის ქრონიკა

### ქუთაისი.

**საყურადღებო კრება.** 29 გიორგობისთვეს ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილების მოთავეობით უნდა მოხდეს დასავლეთ საქართველოს ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ყველა განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი. სხვათა შორის კრებაზე უნდა გაარჩიონ საკითხი წიგნების გამოცემა-გავრცელებისა და სხვა და სხვა ადგილებში ქართულ სახალხო ლექციების მოწყობისა.

*) იხილეთ „ივერია“ 1902 წ. № 106.

**) პირიქითი ხევსურეთის სოფლებია.

### ოზურგეთი.

20 ამ გიორგობისთვიდან ქ. ოზურგეთში ქ-ნმა ნინო კიკვაძისამ გახსნა ჭრა-კერვის სახელოსნო სკოლა სადაც მიიღებენ ორკლასიან ნორმალ სასწავლებელში კურს დამთავრებულ ქალებს. ქ-ონ კიკვაძისას სწავლა მიუღია მოსკოვის უმაღლეს ქალთა ჭრა-კერვა-ხელსაქმის სასწავლებელში.

— ოზურგეთში აქ ბოლო ხანს ძლიერ გავრცელდა ხუნაგი და ყელ-ჭირვება, მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია მდაბიო ხალხი, საჭიროა ხსენებულ სენის წინააღმდეგ ფიცხელი ზომების მიღება.

**სოფ. შემოქმედი** (გურია).

სოფელ შემოქმედის მცხოვრებნი შუამდგომლობენ ქუთ. გუბერნატორის წინაშე, ნება დართონ შემოქმედში უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის გასახსნელად. სკოლის გასახსნელ ხარჯს მცხოვრებნი კისრულობენ.

**ბორჩხა** (გურია).

ამას წინად ორ სართულიან სახლის სახურავიდან გადმოვარდა ვარდენ კვაჭაძე და მძიმეთ დაშავდა.

**დ. ხონი.**

ხონის ბოქაული უკრძალავს მოვაჭრე ებრაელთ საჩოხე შალეულობის ყიდვას ნაშუადღევამდის, რომელიც დედაკაცებს ახლო-მახლო სოფლებიდან შემოაქვთ.

**დ. ყვირილა.**

ყვირილაში 9 გიორგობისთვეს ლექცია წაიკითხა ოლ. ბაქრაძისამ; „ქალთა უფლება“ ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო და შინაარსიანიც გამოდგა.

— 21 გიორგობისთვეს გაიმართა იაფფასიანი სახალხო წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც გადაეცემა შორაპანის მაზრის ომში მყოფ ხელმოკლე მცხოვრებთა ოჯახებს.

### აჭარა.

**ს. ქედა.** 1 გიორგობისთვეს აქ მობრძანდა ბათომის გუბერნატორი გენერალ თამამშევის თანახლებით. გენერალი თამამშევი, მეფის ნაცვალს დაუნიშნავს აჭარელთა მდგომარეობის და საჭიროების გასაცნობად.

**სოფ. მცხეთა.**

21 ამ თვეს ლ. ცაგარლის თავმჯდომარეობით მოხდა ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოების „კერა“-ს დამფუძნებელთა კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა გამგეობა და სარევიზიო კომისია.

**სადგ. ბალაჯარა.**

ახალმა მოიჯარადრემ ბარგის გადამტან-გადმომტანთაგან 23 ქართველი მუშა დაითხოვა, ხსენებული მუშები მეტად ხელმოკლეთ არიან და ამჟამად უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან.

### ბ ა ქ ო.

ბაქოს რკინის გზის სადგურზე ამ ხანად 30 დატვირთული სამხედრო ვაგონი სდგას.

— 22 გიორგობისთვეს მიწას მიაბარეს გვამი განსვენებულ ეპისკოპოს კარაპეტისა. დასაფლავებას დაესწრნენ აგრეთვე ბაქოს მაჰმადიანთა და ქართველთა წარმომადგენლებიც.

## დაბა-სოფლები

**არაგვის პირი** (დუშეთის მაზრა). წლევანდელმა მოუსავლობამ, ათასმა სნეულებამ და შინაურ საქონლის ჭირმა დიდს გასაჭირში ჩააგდო უიმისოდაც ბედშავი და ღვთის ანაბარად მიტოვებული გლეხი კაცი. ამ ომმა ხომ სულ დაგვიცალიერა სოფლები, ბევრი ოჯახი ბებრების და პატარა ბავშვების ამარაა, ბევრი ოჯახის კარები სამუდამოთაც გამოიკეტა. არა და არავინ არის ჩვენი პატრონ—მშველელი. არაგვის პირი ხამი არ არის ბეგრისა. მთელი საქართველოს სამხედრო გზა არაგველებისათვის განუყრელი და მძიმე საბეგრო ბარგია. ქ. დუშეთი თავისი ყაზარმებით, მოხელეებით, იქ მიმომსვლელი სტუმრებით სულ გლეხი კაცის საკისრო ტვირთია. ამ ომმა ეს ბეგარა ხომ გააორკეცა. სახელმწიფო ბეგარაზე არავის არას დროს არა უთქვამს რა და არც ახლა ამბობს ვინმე რამეს. უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ ომის გამო ეს ბეგარა დღეს სამხედრო საბეგრო სამოსელში გამოხვიეს და ბრმა უსწავლელ გლეხს ერთი ათად აჰკიდეს კისერზე. დუშეთის ახლოს არიან მემამულეები, რომელთაც აქვთ კარგი ტყეები. ეს მემამულეები იჯარით ჰყიდიან შეშას თუ დუშეთს, თუ თბილისს. მოიჯარადრები დაძრწიან, საიდუმლო ქსელს აბმენ საითაც და როგორც მოეხერხებათ, ოღონდ მოგება დარჩეთ. აბა ვისგან რას მოიგებენ, თუ არა ისევ საწყალი გლეხი კაცისაგან. დღე არ გავა ისე, რომ სოფელს არ შეესიოს მამასახლისი ჩაფარ-სტრაჟნიკებით და წიოკით, ვაი-ვაგლახით არ გარეკოს ხალხი ვითომდა ბეგარაზე. რიგს ტყიდამ გზამდე აზიდვინებენ შეშას, რიგს გზიდამ ან დუშეთს, ან თბილისს წაალებინებენ ვითომდა ომის მიზნისათვის. გლეხს კი ორიოდე გროშს გადუგდებენ ნამადლურად, მეტი რაღა გინდაო. საწყალი გლეხი კი უშეშოთ, უხნავ-უფარცხი რჩება. დუშეთში ყველა მოხელეების ეზოში დგას საჟენები. მშვიდობიან დროს არ ყოფილა ეს წესი და ნუ თუ ომის გამო გლეხმა დუშელ ჩინოვნიკებს შეშა უნდა უზიდოს. სოფელი გაწყდა წელში. აღარ არის მუშა ხელი, აღარ არის საქონელი. რა ქნას თითო-ოროლა სოფლად დარჩენილმა მოხუცმა კაცმა, ამდენ სიმწარეს როგორ გაუძლოს. ნუ თუ სახელმწიფო ინტერესი ვიღაცა თავზე ხელ აღებულ და უსინიდისოს კერძო ჯიბეს ენაცვალოს. მამასახლისი ბოქაულზე მიუთითებს გლეხს, ბოქაული კიდევ სხვაზე და არ იქნა ვერ გაიგო ბრმა გლეხმა, საიდამ და ვისი წყალობით არის მოვლენილი მის თავზე ეს უბედურობა. ასე იღუპება დღეს მთელი არაგვის პირი. გთხოვთ თქვენი გაზეთის დახმარებით გააგებინოთ ქვეყანას ჩვენი ესეთი აუტანელი უბედურება და გვიშველოს ვინმე როგორმე.

**არაგველი გლეხი.**

## რუსეთი

### „კრიზისების“ მომწყობი

ქ. კიევი განიცდის ნავთის კრიზისს. კიევის დუქნებში ნავთი სანატრელი საქონელი ყოფილა და ძნელად საშოვნელი. სადაც მოიპოვება გირვანქა 10 კაპ. იყიდება. სატახტო გაზ. „რეჩი“ გადმოგვცემს, რომ რუსეთის რკინის გზებზედ დათარეშობს „მშვენივრად მოწყობილი ბრბო“, რომელიც ასეთ კრიზისებს ხელოვნურად ჰქმნის და სამაგალითოდ აწყობს. „კრიზისების“ მომწყობი ბრბო ასე იქცევა: მაგალითად ამ ბრბოს აგენტი გაიგებს თუ არა, რომ რაიმე მიზეზის გამო რკინის გზაზედ საქონლის მიმოსვლა შეჩერდა მაშინვე ყველა კუთხეში დეპეშები-მიჰქრიან. „შეჰქმენით ასეთა და ასეთი კრიზისი“. ვსთქვათ კიევში მიღებულია დეპეშა „ნავთის კრიზისის შექმნის“ შესახებ. მაშინვე კიევის ყველა საწყობებში ნავთი ჰქრება, და თუ რკინის გზის სადგურზედ მოიპოვება ნავთი, რკინის გზა ნებას არ აძლევს ნავთის ცისტერიების დაცლისას. იმავე დროს ხსენებულ ბრბოს მრავალი აგენტები დაძრწიან ქალაქში და ავრცელებენ „საშინელ“ ხმებს ნავთის უქონლობაზე. მცხოვრებნი დაშინებულნი ამ ამბავით ათასობით აწყდებიან დუქნებსა. და გაშმაგებით იძენენ დიდ ძალ „დარჩენილ ნავთსა“ და სამ კაპიკს გირვანქაზედ რასაკვირველია მეტს იხდიან. როდესაც ვაჭრები დასცლიან თავის საწყობებს, მაშინვე ოაიწყებენ ნავთის ნელ ნელა ზიდვას რკინის გზის სადგურიდან. და რადგან „კრიზისი“ მაინც არსებობს, მცხოვრებნი ასევე ძვირად ყიდულობენ მას. როდესაც „ნავთის კრიზისი“ დამთავრდება, იწყობა სხვა რაიმე საქონლის „კრიზისი“ და ასე და ამგვარად მუშაობს „კრიზისების მომწყობი ბრბო“ რუსეთის რკინის გზებზე!

გაზ. „იუჟნი კრაი“ ამის მსგავსს ამბავს მოგვითხრობს: ქ. ხარკოვის სადგურზე გამოგზავნილი იყო ფოლადი ყუმბარების გასაკეთებლად. ერთ ქარხნისათვის, რომელსაც დაკეთილი ჰქონდა საჩქარო დამზადება ყუმბარებისა. როდესაც გავიდა საჭირო დრო ფოლადის მოსვლისა, ქარხნის მესვეურნი რამდენჯერმე შეეკითხნენ რკინის გზას. აქა იქ დაგზავნეს კაცები, მრავალი დეპეშები, მაგრამ ფოლადი ვერსად აღმოჩნდა.

მაგრამ უცბად, როდესაც მთავრობის მორიგი რევიზორები იწვივნენ გზასა, „წყალ-წაღებული ფოლადი“ ამოტივტივდა ხარკოვის რკინის გზის საქონლის სადგურზედ... გამოირკვა, რომ იგი 39 დღეს ისვენებდა. ვისი ბრალი იყო, ეს რევიზიამ დღემდის ვერ აღმოაჩინა.

## უცხოეთი

### ელზას-ლორენის ბედი.

ბერლინის გაზეთებში ბევრი წერილები იბეჭდება ელზას-ლორენის მომავალ ბედის გამო. „ფრანკფ. ცაიტუნგი“ პირდაპირ სწერს, ელზას-ლორენი პრუსიას უნდა შეუერთდესო. ეს აზრი მოიწონეს და ახლა ელზას-ლორენის გაზეთი „Metzer Zag“ სწერს: ყოველ კვირა რომ იბეჭდებოდეს გაზეთებში გვარები ელზას-ლორენის მემამულეებისა, რომელნიც მუდამ საფრანგეთში ბინადრობენ, ცხადი იქნებოდა, რომ ამ მამულებზე სამერმისოდ ჩინებული ახალშენები გაშენდებოდა. ყოვლად უსაფუძლო იქნებოდა, ზავის ჩამოგდების შემდეგაც, ეს მამულები პარიზში მობინადრეების ხელში რომ დარჩენილიყო. ეს მამულები უნდა გადაეცეს გერმანელ მემამულეებს, რომელნიც მემკვიდრეობით გადასცემდნენ მას შვილისშვილებს, მხოლოდ გერმანელთა ხელიდან კი არ უნდა წავიდეს ეს მამულები.

ეს საქმე ისე უნდა მოეწყოს, როგორც დასავლეთ პრუსიასა და ბოსნიაშია მიღებული: განსაკუთრებულ დავთარში ჩაიწერება ფრანგების მამულები. ეს მამულები ჩამოერთმევა იმათ, ვინც თავისს ოჯახში, სკოლაში, ეკლესიაში თუ სხვაგან გერმანულად არ ლაპარაკობს.

ასეა მოწყობილი საქმე დასავლეთ პრუსიაში, აღმოსავლეთ პრუსიაში, პომერანიაში, შლეზვიგში, გოლშტინში და ჰანოვერში. (დ.).

## თეატრი და ხელოვნება

„ვიდრე ხვალ უფალო“, ერთი ის იშვიათი პიესათაგანია, რომელიც სცენისა, მსახიობთა და მაყურებელთა დღესასწაულად ითვლება. ამიტომ, იშვიათად, რომ მის დასწრებაზე ხალხმა ძუნწობა ჩაიდინოს. ძუნწობა არ გამოუჩენია ჩვენს ხალხს იმ დღესაც, 24 გიორგობისთვეს, როდესაც ჩვენმა დრამატ. საზოგადოებამ დასდგა ეს პიესა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ეს მოსალოდნელი დღესასწაული ჩვენ არ გვინახავს. ეს წუხილი მით უფრო საგრძნობელია, რომ პიესა მეტის მეტად სადაა. მართალია, „სახალხო სახლის“ სცენა მისთვის ღარიბია, მაგრამ ყველაფერი იმით, რაც ვნახეთ ნედლი მასალის სახით, შეგვეძლო პიესა ჩინებულად დაგვედგა.

რა ნაირი პიესაც უნდა იყოს, მრავალი საშუალებაა, რომ მაყურებელი დაატყვევოთ. განსაკუთრებით ეს ითქმის, ამ პიესის შესახებ, რომლის სცენიური ჰარმონია მოითხოვს მხოლოდ უწყინარს ანსამბლს. თვითეული მოქმედი პირი საჭიროებს სადა პლასტიკისა და ტონალობის არშიას. ლიგია (ქ-ნ დავითაშვილი), მარკუსი (ა. იმედაშვილი), პეტრონიუსი (ვალ. გუნია) და სხვები თანაბარი მიმზიდველი და ფრიად საინტერესო მოვლენანი არიან ამ პიესაში. ეს საიდეალო ტიპები ჩვენი საუკუნისთვის თავისთან ერთად ატარებენ უკვდავ სულთა ბეჭედს, ადამიანთა შემოქმედების ღვთაებრივ ცეცხლს და ჰბადებენ ჩვენში მაღალს და განმწმენდელს აღფრთოვანებას. ნელად მოთამაშე ზვირთისებური რითმი, —აი ფოკუსი ამ პიესის სცენიურ გამოხატულებისა. ეს, თუ გნებავთ, სულის ერთგვარი სიმფონიაა, რომელიც მოითხოვს მასიურ ხმათ შეწყობას, ადგილ-ადგილ სცენათა რელიეფებს, მაგრამ ისე კი, რომ ანსამბლი არ დაარღვიონ და მწუხრის რამპაზე მფეთქავი სხივებით ჩასდნენ აკორდში.

ჩვენ მოლოდინი გვქონდა, რომ იმედაშვილის ტემპერამენტი შესძლებდა ნაკისრებ როლის გადალახვას. მარკუსი, ეს თვისებური სამარადისო დაუსაბამობის ჰიმნი ენერგიული და ჭაბუკი სულის თემა გახლავთ, რასაც ახალგაზრდა მსახიობნი ხელის ფათურით დაეძებენ ხელოვნების სფეროში. ადგილ-ადგილ, მართალია, მსახიობი უნარს იჩენდა კარგი მარკუსი ყოფილიყო, მაგრამ საზოგადოდ ტემპის სისწორე ვერ დაიცვა და მიტომაც იყო, რომ სასცენო რელიეფებში, თუნდა ისეთს მომენტში, როგორიც გახლავთ არენაზე ხარის ზურგზე გაკრულ ლიგიას დანახვა, ფრიად ფერმკრთალი გამოვიდა.

ვერ დაგვაკმაყოფილა ქ-ნ დავითაშვილის ლიგიამაც. ლიგია, როგორც უბადლო agnus Dei, ჰსაჭიროებს გულწრფელ რელიგიურ ხასიათს. მაყურებელი მით მეტს სიტკბოებას განიცდის, რამდენადაც ამ როლის აღმსრულებელი მდიდარი ინდივიდუური ნიჭით მომადლებულია, რათა გადმოგვცეს სულის უნაზესი სიკეკლუცე, როგორც სამარადისო და საკაცობრიო სიმბოლო სიწმიდისა და სიყვარულის. ქ-ნი დავითაშვილი ღირსეული მსახიობია ჩვენი სცენისთვის. მის ხელში თვით უმნიშვნელო და არა მხატვრული ღირსების როლი მთელს სულის სამეფოდ გაიშლება ხოლმე. როლის მხატვრულად გადმოცემის ურყეველი რწმენა არ სჩანდა ამ საღამოს და მის ლიგიასაც მოაკლდა ჰეროვნების სამოსელი.

სიცოცხლეს, ძალოვნებას და უაღრესად არისტოკრატიულ ელფერს ვერ ვხედავდით ბ-ნ გუნიას პეტრონიუსში.

საინტერესო ნერონის ტიპი დაგვიხატა გ. არადელ-იშხნელმა. მეტი დაკვირვება და როლის შესწავლა და იგი უეჭველად საუცხოვო ნერონი იქნება ჩვენი სცენისთვის.

„აი, როცა პასუხს ვიძლევი, მე კიდეც დავეძებ...“ ამბობს ხილონხილონდი. ბ-ნი ვ. აბაშიძე, მართლაც, ამ როლში თვითეულ სიტყვას დაეძებდა. უეჭველია, ამითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სუფლიორი მის სიტყვების ძებნის დროს მაზე მეტად როლში შევიდა...

ქ-ნ ან. ქიქოძის ასულს ყოველთვის გაცილებით უკეთესად შეუძლიან ევნიკას როლის შესრულება. სწორედ განსაცვიფრებელია, რომ ახე უმწეო მარცხი განიცადა იმ დღეს. უეჭველია, ხელმძღვანელი არა სჩანს, თორემ მას ყოველისფერი ხელს უწყობს ეს როლი ზედმიწევნით შეასრულოს.

კობტა და ცქრიალა ალბის როლი ხორც-შესხმული ჰყო ქ-მა ტ. აბაშიძემ.

ბ-ნმა სარაულმა ორი როლი შეასრულა ელავკი და პლავტოსი. ორთავე ზომით და დაკვირვებით იყო მოხაზული.

მეტად უხეში ურსი გამოდგა ბ-ნი ს. ტარუაშვილი.

ქ-ნ ჯავახიშვილის პოპეა არ იყო ელეგანტობას მოკლებული.

რაც შეეხება მასას, მასიურ სცენებს, უნდა მოგახსენოთ, რომ თუ კი ასეთი ტლანქი და უხეში იქნება, სულაც რო მოშალონ ხოლმე, უკეთესი იქნება.

საზოგადოდ სტილი და ეფექტი ამ პიესისა არ სჩანდა.

სამწუხაროა სწორედ...

**დ. კ—ძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

**გერმანიაში [illegible] დატყვევებულე[illegible] [illegible] საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genéve.

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. საღ |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ საავ. | 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის. . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.


წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბევლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р Таварткиладз:.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძიგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეძვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.